

დავით გობეჯიშვილი

DAVID GOBEJISHVILI

ბიოგრაფი ჩოჩიშვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT
Giorgi Chochishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**ავთანდილ გურასაშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ბადრი კეთილაძე,
ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Avtandil Gurasashvili, Paata Natsvlishvili, Badri Ketiladze,
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3484-8

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



დავით გოგეჯიშვილი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

ბედისწერა

ამბობენ, ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მჭედელიო. მაგრამ ბედის მაძიებელს იღბალიც უნდა სდევდეს მშველელად და შემწედ. ეს განსაკუთრებით სპორტსმენებს ეხებათ. არის კიდევ რაღაც ფარული ძალა თუ მიზანი, ადამიანში ჩაბუდებული, რასაც, ზოგჯერ თვითონაც არ იცის, ისე მიჰყავს იგი ცხოვრების გზაზე, თითქოს, ძალაუნებურად, მის კარნახს ემორჩილებაო.

მაინც რა აიძულებდა პატარა დათო გობეჯიშვილს თავისი ცას გამოკრული სოფლიდან კვირაში სამჯერ სავარჯიშოდ ფეხით ევლო ონში და გვიან დაბრუნებულიყო სახლში. რაჭაში მაშინაც იცოდა მკაცრი ზამთარი, ჩერეხი თოვლი იდო გზაზე და უკვე ჩამოწოლილ სიბნელეში თუნდაც გზა-გზა სიარული ბავშვს კი არა, დიდსაც შეაკრთობდა. ამ გზას ტკეპნიდა ჯიუტად და ერთგულად პატარა გობეჯიშვილი და მართალი არ იქნება ვთქვათ, მაშინვე დიდ ჩემპიონად გახდომა ჰქონდა გულში ამოჭრილიო. იმხანად მისი ოცნების ზღვარი მისივე ბიძის, გურამ გობეჯიშვილის მიღწევები იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გამხდარა და მეტს ვეღარ შეწვდენია უიღბლობის გამო. მაშინ ბიძასთან გატოლებას ფიქრშიც ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ ერთი კი იცოდა ბავშვობიდან, რომ აუცილებლად ჭიდაობაზე უნდა ევლო და ვიდრე მართლა მოჭიდავედ ჩათვლიდნენ, დიდხანს უნდა ეტკეპნა ჯერ ხურუთი-ონის, მერე კი სხვა გზები.

იღბალი ისეთი რამ არის, შეიძლება ათასი კილომეტრიდან გადაგხვიოს ხელი და შენს სავალ გზაზე თავისი ზიგზაგებით გატაროს... იმ დროს, ათასობით კილომეტრის დაშორებით, ნიუ ჯერსის შტატის პატარა ქალაქ ჰალედონში იზრდებოდა დათოზე ცოტათი უფროსი ამერიკელი ბიჭი გერმანული გვარით — ბრიუს ბაუმგარტნერი. მათი გზები დიდ სპორტში, დიდ ხალიჩაზე შემდგომ ისე გადაიკვეთა, თითქოს ბედისწერააო. ერთის მარცხი მუდამ მეორის გამარჯვებას ნიშნავდა და პირიქით. ასე გრძელდებოდა მთელი რვა წელიწადი. თითქოს მეტოქე სხვა არავინ ჰყავდათ და, ამათში ვინც იმარჯვებდა, უცილობლად ის ხდებოდა ჩემპიონი. ერთს რა ტიტული და ჯილდოც დააკლდებოდა, ის მეორეს ემატებოდა. ერთიც და მეორეც უდავოდ დიდი სპორტსმენი იყო. ბრიუსს მთელი ამერიკა აღმერთებდა. ატლანტის ოლიმპიადის გახსნაზე, 1996 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების 600-კაციან დელეგაციას, სპორტის ამ ცოცხალი ლეგენდებით სავსე რაზმს, წინ სწორედ ბრიუს ბაუმგარტნერი მიუძღოდა ვარსკვლავზოლებიანი დროშით ხელში.

...ბრიუს ბაუმგარტნერმა ოთხ ოლიმპიადაზე იჭიდავა, დავით გობეჯიშვილმა — ორზე. ამერიკელის ბიოგრაფიას ორი ოლიმპიური ოქროს ელვარება ალამაზებს, ასევე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ქართველის ოლიმპიური მონაგარი კი თითო ოქრო და ბრინჯაოა. ბაუმგარტნერი სამგზის მსოფლიო ჩემპიონია, გო-



ბეჯიშვილი — ორგზის; მაგრამ ოკეანისგაღმელი 15 წელიწადს იყო დიდ სპორტში, გამოღმელი — ამის ნახევარს თუ დაითვლის. ურთიერთშეხვედრებშიც, ფაქტობრივად, ყაიმია, — ამერიკელი მხოლოდ ერთი მოგებითაა წინ, დიდი შეჯიბრებების ანგარიში კი ქართველის სასარგებლოდ მეტყველებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, როდის აღწევს სპორტსმენი წარმატებებს, რადგან მიღწევებს დრო ხან ალამაზებს და ხან ახუნებს კიდეც. სპორტის ამ სახეობის ისტორიისთვის, სპორტის ისტორიისთვის, მართლაც მნიშვნელოვანია, როდის დაიმკვიდრა თავი დავით გობეჯიშვილმა თავისუფალ ჭიდაობაში. მას შემდეგ, რაც ლეგენდარული არსენ მეკოკიშვილი და მისი თანამოძმენი გამოჩნდნენ თავისუფალ ჭიდაობაში, ისეთი ნავსიანი წლები არ გვქონია, 1985 წლამდე რომ იყო. მხოლოდ ფენომენალური ლევან თედიაშვილი ქმნიდა ამინდს და დიდი წარმატებებით გვახარებდა, მაგრამ, მასაც უსამართლოდ მოექცნენ და 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე ერთი ქართველიც არ გამოსულა ჭიდაობის ამ სახეობაში, რაც მანამდე უჩვეულო შემთხვევად ითვლებოდა.

იმ პერიოდში სხვა კარგი მოჭიდავეებიც გვყავდა, მაგრამ „დიდი ტედის“ გარდა ვერავინ ზიდა დიდი ჩემპიონის მძიმე ტვირთი — ზოგს რამ შეუშალა ხელი და ზოგს რამ. იმ პერიოდში ხშირი იყო უფროსი მწვრთნელების ცვლა საქართველოს ნაკრებში, ბევრი კარგი მოჭიდავეც ნაადრევად გაუშვეს „პენსიაზე“: „26 წლის ვიყავი და ვგრძნობდი, უფრო კარგად შემეძლო ჭიდაობა, მაგრამ დარბაზში აღარ შემიშვეს, ბებერი ხარო“, — იმდროინდელ საპასპორტო კონტროლს იხსენებს როინ დობორჯგინიძე, მაშინ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

კლასიკოსებში საქმე გაცილებით უკეთესად იყო: იმ წლებში გამოდიოდნენ ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თეიმურაზ აფხაზავა, მსოფლიოს ჩემპიონები მიხეილ სალაძე და თემო ყაზარაშვილი. თავისუფალ ჭიდაობაში კი, მას შემდეგ რაც ლევან თედიაშვილმა 1975 წელს კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო და მომდევნო წელს ოლიმპიადა, ჩვენთვის თითქოს ყველაფერი დამთავრდა. დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვთან ერთად, მოგვიანებით გამოჩნდა, როცა გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა დიდი ჩემპიონები.

მაშინდელი დრო სხვა მხრივაც იყო გამორჩეული: საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელობა მძიმე წონაში პოზიციების დათმობას ლამის ისე აღიქვამდა, როგორც „ცივ ომში“ მარცხს. ასეთმა მოწადინებამ თუ ცხოვრებისეულმა კანონზომიერებამ ამ პრესტიჟულ წონით კატეგორიაში ლეგენდების დაბადებას შეუწყო ხელი: არსენ მეკოკიშვილი, ალექსანდრ მედვედი, სოსლან ანდიევი... 1981 წელს

კი ამერიკელი ახალგაზრდა ბრიუს ბაუმგარტნერი გამოჩნდა, რომელმაც ყველა ტურნირზე მოიწადინა საბჭოთა მეტოქეების დაჯაბვნა — მსოფლიო უნივერსიადიდან დაწყებული ოლიმპიადით დამთავრებული.

არავინ თქვას, 24 წლის ბაუმგარტნერმა შემთხვევით მოიგო ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშები, რაკი ამ შეჯიბრებაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ყველაზე ძლიერი წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენო და სხვა ამდაგვარი... მაშინ ამერიკელი ყველაზე ძლიერი იყო, რაც თვალნათლივ დაამტკიცა კიდეც ოლიმპიური წლის დასაწყისში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენს ტურნირს კი, ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან, მაშინ მცირე მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებდნენ, ოღონდ ისიც საკითხავი იყო, ამ ორიდან რომელი უნდა ჩაგეთვალათ მცირედ. მით უმეტეს, უცხოელებს, რომლებსაც გამარჯვების მოსაპოვებლად „საბჭოთა ჯოჯოხეთი“ უნდა გაევლოთ და 5-6 უძლიერესი მეტოქე დაემარცხებინათ! ბაუმგარტნერმა 1984 წელს თბილისში დამაჯერებლად გაიმარჯვა და სხვებთან ერთად ბელორუსის სახელით მოასპარეზე ქართველ ფალავანს მალხაზ მემარნიშვილსაც აჯობა.

იმ დროს უკვე დასრულებული იყო სოსლან ანდიევის ეპოქა და კიდევ ერთ სახელოვან ჩრდილოკავკასიელს, ჩეჩენ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს სალმან ხასიმიკოვსაც მოუწია სპორტიდან გაცილების დრომ. საბჭოთა სპეციალისტების წინაშე მთელი სიცხადით დადგა ბაუმგარტნერის პრობლემა.

სოფელი

ხურუთელი ბუჭა გობეჯიშვილის ნაამბობი, რომელიც, სხვა თანასოფლელების სიტყვებთან ერთად, 1988 წელს ჩაუწერია ქალბატონ ციცო გობეჯიშვილს: „ჩვენს სოფელში ძლიერი კაცები ცხოვრობდნენ, მარა თავისი ძალა ავი მიზნებისთვის არავის გამოუყენებია, დინჯები და კეთილშობილები ივყნენ. ერთი მოჭიდავე ყოფილა, მეტსახელად წარბა — გლოლელი თუ ღებელი, ზუსტად აღარ მახსოვს, რაიონში პირველი ფალავანი. იმის მომრევი კარგა ხანს არავინ იყო თურმე. მამაჩემი ლუკა დაჭიდავებია ონის ბულვარში და დაუმარცხებია იოლად და თავისუფლად. ლუკა ხანჯალს არასდროს ატარებდა, არ სჭირდებოდა და იმიტომ“.

შალვა გობეჯიშვილის ნაამბობი: „იყვნენ ძლიერი ადამიანები, მაგრამ მათ არავინ იცნობდა თანასოფლელების გარდა. მერე გამოჩნდა გურამ გობეჯიშვილი. პირველმა მან გააცნო ჩვენი გვარი და სოფელი მთელ რესპუბლიკას. 1958 წელს

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სამწუხაროა, რომ ის ვერ მოესწრო სეულის ოლიმპიადას და დათოს დიდ გამარჯვებას. დათო გურამიდან იწყება. გურამი არის დათოს გზისმკვლევი“...

ხურუთი, სადაც დაიბადა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი, ერთი პატარა სოფელია ონის რაიონში. მაშინ ხურუთში სულ 35 კომლი ცხოვრობდა, დღეს კი ამდენიც აღარ არის. მხოლოდ ორწლიანი სკოლა ჰქონიათ და მესამე კლასიდან ბავშვები შოუბნის რვაკლასიან სკოლაში დადიოდნენ, შემდეგ — ონის მეორე საშუალო სკოლაში.

დავით გობეჯიშვილი: „შოუბანის სკოლამდე სამი კილომეტრი იყო, ონამდე — ორკილომეტრნახევარი. ვიდრე მეცხრეკლასელი გავხდებოდი, ასეთი მარშრუტი მქონდა: შოუბნი — სახლი, სახლი — ონი. მერვე კლასში ვიყავი, ონში რომ მივედი ჭიდაობის სექციაში შურა მაისურაძესთან. სულ მინდოდა ჭიდაობაზე მევლო და თვითონ გადავწყვიტე. სოფელს ჰქონდა ჭიდაობის ტრადიცია, ჩემზე უფროსი თაობიდან უმეტესობა ჭიდაობაზე დადიოდა. იქ სულ გობეჯიშვილები ვართ, — ერთი სისხლი და ხორცი. გურამი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. სკოლაშიც სულ ვიღაცის ჯილა ვიყავი, სულ მაჭიდავებდნენ ჩემ ტოლებთან და უფრო დიდებთან. ხან ვიგებდი, ხან ვაგებდი... სწავლაში ჩამორჩენილი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ არც სუყველაზე უკეთესი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, გაკვეთილი რომ არ მცოდნოდა, ისე სკოლაში არ მივდიოდი.

ოჯახში არ უნდოდათ, რომ ჭიდაობაზე მევლო, არც ის, რომ ჩემს უმცროს ძმას, პაატასაც ეჭიდავა და იმანაც მალე დაანება ვარჯიშს თავი, თუმცა კარგი მონაცემები ჰქონდა. მამაჩემი ნიკოლოზი განათლებით ეკონომისტი იყო, სხვადასხვა ადგილას, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობდა. მაღალი იყო, ფიზიკურად საკმაოდ ღონიერი, თუმცა არასოდეს უჭიდავია. ზედმეტს არც არავის აკადრებდა და ვერც მას აკადრებდნენ. ოჯახშიც არ მახსოვს ხმამაღალი სიტყვა ეთქვას. თავისი საქმის პროფესიონალი კაცი იყო. ონში მე ახლაც მიცნობენ, როგორც მამაჩემის შვილს. რაჭა, მოგეხსენებათ, მცირემიწიანია, გვქონდა მიწის ნაკვეთი, ვაზიც. ჩვენი პატარა სოფელი რაჭაში მაგით არის განთქმული — ვაზით და კარგი ღვინით. მამაჩემი მუდმივად იყო დაკავებული სამსახურით, შრომა მეც მიწევდა — ყანა, საქონელი, თივის მოტანა... ფიანდაზით მოფენილი ბავშვობა არ მქონია, ახლა რომ ზაფხულში სამ-ოთხ აგარაკს იცვლიან. მაგრამ ბავშვობა არ შეიძლება ცუდი იყოს. იმის საშუალება მაინც გვქონდა, რომ ჩვენს ტოლებთან გვეთამაშა და დრო გაგვეტარებინა. ეს ის პერიოდია, როცა საჭმელ-სასმელი არავის უჭირდა, მით უმეტეს, სოფელში“...

მაშინ ონში სპორტული სექციები ბლომად იყო, მათ შორის ჭიდაობა გამოირჩეოდა და შურა მაისურაძე მთელ რაიონში და რესპუბლიკაშიც ცნობილი კაცი გახლდათ. რაიონის სასკოლო პირველობებში თითო წონაში 25-30 ბავშვი მონაწილეობდა.

„ახლა მთელ ონის რაიონში სულ 450 მოსწავლე სწავლობს, — სინანულით მეუბნება პირველი რაჭველი ოლიმპიური ჩემპიონი, — ჩემ დროს მარტო ონის მეორე საშუალო სკოლაში ათასამდე ბავშვი ვიყავით, სოფელ ღების სკოლაში — ცხრაასამდე... შურა მაისურაძე რბილი კაცი იყო, მაგრამ თუ აფეთქდებოდა, მტრისას... მართალი გითხრათ, ონში არ იყო ისეთი ვარჯიშები, დიდი სპორტი რომ მოითხოვს, მას უფრო გასართობი ხასიათი ჰქონდა. მაშინ მაინცდამაინც დიდი შედეგებით არ გამოვირჩეოდი. ერთხელ მესამე ადგილი დავიკავე ონში, საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე. არც აღნაგობით ვიყავი გამოსარჩევი, ზოგი ჩემი თანატოლი ჩემზე მაღალიც იყო და ტანსრულიც. სკოლა რომ დავამთავრე, 65-67 კილოგრამს ვიწონიდი და 180 სანტიმეტრი სიმაღლის ვიქნებოდი, შეიძლება მაგხელაც არა...“

ალექსანდრე (შურა) მაისურაძე: „დათო გობეჯიშვილის მშობლიურ სოფელ ხურუთში მხოლოდ ორწლიანი სკოლა ჰქონდათ და მესამე კლასიდან შოუბნის რვაწლიან სკოლაში სწავლობდა. მაშინ სკოლაში შვიდი წლისას იღებდნენ, ეგ მაღალი ბიჭი იყო და მასწავლებლის, ცისანა რეხვიაშვილის თხოვნით, დათო მშობლებმა 6 წლისა მიიყვანეს პირველ კლასში, რადგან მაშინ შვიდი წლისა მთელ სოფელში სულ ორი ბავშვი მოგროვდა.

ფიზკულტურის მასწავლებელმა დიმიტრი ბერიშვილმა მითხრა, შენთან კოლია გობეჯიშვილის შვილი მოვა ხურუთიდან, ტანმაღალია და შეიძლება მამასავით დიდი გაიზარდოს, მძიმე წონაში გამოგადგებაო. მე დათოს მშობლებს კარგად ვიცნობდი, დედამისიც ტანმაღალი ქალი ბრძანდებოდა. რომ მოვიდა, დაბადების მოწმობა არ მომითხოვია, ისე ჩავწერე 1962 წელს დაბადებულებში, ანუ ერთი წლით უფროსებში. თავის ასაკთან შედარებით მართლაც ტანმაღალი იყო, გამხდარი... სპორტში ასეთები უფრო გამოდგებიან, ვიდრე ჩაპუტკუნებულები.

ძალიან წყნარი ბავშვი იყო, ამხანაგების მიმართ მისი აგრესია არასდროს მინახავს. რაც შეეხება მონაცემებს... მე მაშინ ხშირად ვატარებდი მოსწავლეთა შეჯიბრებებს სხვადასხვა ასაკში და დათოს ხშირად უხდებოდა ერთი-ორი წლით უფროსებთან ჭიდაობა. შემდეგ არაერთხელ გაჟღერებულა პრესაში, რომ იგი არ იყო ძლიერი ბავშვობის პერიოდში. ეს მცდარი შეხედულებაა. რაიონულ პირველობაზე არავისთან არ წაუგია, არც კლასიკურ, არც თავისუფალ ჭიდაობაში. მონაცემები ნამდვილად ჰქონდა, გარეგნულად შეიძლება არც ეტყობოდა, მაგრამ შინაგანად ძალიან ძლიერი იყო.

მეცხრე კლასიდან უკვე ონში დაიწყო სწავლა. ხანდახან გააცდენდა ვარჯიშს. ახლა ეს რატომ ხდებოდა. მე მეგონა, ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი ჰქონდათ, მამამისი ბუღალტრად მუშაობდა, მაგრამ იმდენად პატიოსანი კაცი იყო, რომ რასაც კოლმეურნეობაში მისცემდნენ, იმით კმაყოფილდებოდა. ხანდახან დათოს ოცკაპიკიანიც არ ჰქონია, რომ ონში სკოლის შემდეგ, ვიდრე ვარჯიში დაიწყებოდა, ნამცხვარი ეყიდა და ეჭამა. როცა ვეტყოდი, რატომ გააცდინე ვარჯიში-მეთქი, არაფერს მეუბნებოდა, უსიტყვო, უთქმელი ბიჭი იყო. მოწაფეების მშობლები ხშირად მეკითხებოდნენ შვილებზე, როგორი გამოვაო. წინასწარ ვერასდროს განსაზღვრავ, ვინ იქნება მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი. როგორც იშრომებს, ისეთი გამოვა-მეთქი, — ვპასუხობდი. დათო უპერსპექტივო ნამდვილად არ იყო, ქუთაისში რომ დაიწყო ვარჯიში, 7-8 თვეში ისე იფეთქა, სულ წინ-წინ წავიდა. მაშინ უფრო დავრწმუნდი, რომ შეიძლებოდა დიდ მოჭიდავედ ჩამოყალიბებულიყო. სამ წელიწადში უკვე საკავშირო სპარტაკიადაზე იჭიდავა... ზოგჯერ ცოტა ნებისყოფა უმტყუნებდა, რეჟიმის დაჭერა უჭირდა, თორემ სამჯერ მაინც უნდა გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი.

როგორც პიროვნება, ძალიან საღად მოაზროვნეა. დიდ განათლებაზე არ ვლაპარაკობ, აზროვნება სხვა არის. რა თამაში არ უნდა ყოფილიყო, ისე უცებ გაერკვეოდა, დომინო იქნებოდა, სხვა, — ყველას უგებდა. გონებაგახსნილი ბიჭია და აზარტულიც, თანაც ისეთი, რომ ვუშლიდით ხოლმე. ადვილად ვერ აწყენინებ — გულთან არ მიიტანს, მაგრამ თუ ეწყინა, ძვირად დაგიჯენს. გურამ საღარაძეც ასეთი კაცია. დათოს კარგად უნდა იცნობდე, რომ კარგი ურთიერთობა გქონდეს მასთან“...

16 წლის დავით გობეჯიშვილი თავისი სასკოლო ატესტატით და ბიძამისის დახმარებით, ქუთაისში ჩავიდა და სამთო-სამშენებლო ტექნიკუმში ჩააბარა გამოცდები. ქუთაისში დეიდასთან ცხოვრობდა. პირველი სექტემბრიდან სამი დღეც არ იყო გასული, საჭიდაო დარბაზს მიაშურა. რაჭველ ბიჭს ქუთაისშიც გაუმართლა: მისი ახალი მწვრთნელი, მრავალი მოჭიდავის აღმზრდელი მურად დოხტურიშვილი მართლაც შესანიშნავი სპეციალისტი და პედაგოგი გამოდგა. პროფესიით ისტორიკოსი, ჭიდაობის გარდა საქართველოს ისტორიასაც ასწავლიდა მოწაფეებს, ჭიდაობის ისტორიასაც, რომელიც ასევე ძალიან კარგად სცოდნია. მისი დამსახურება ყოფილა, რომ დღეს დავით გობეჯიშვილს სპორტის თემაზე ნებისმიერი საკითხის შესახებ შეუძლია კამათი და მსჯელობა. სულ ორი წელიწადი ივარჯიშა მურად დოხტურიშვილთან, მერე ჯარში გაიწვიეს მესამე კურსიდან, მაგრამ ძალიან უმადლის ქუთაისელ პედაგოგს — დიდი როლი ითამაშა ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაშიო.

ქუთაისში გახდა სპორტის ოსტატი, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ პირველობებზეც ჰქონდა მცირე წარმატებები, თითქოს საკავშირო ახალგაზრდულ შეკრებაზეც მიჰყავდათ, მაგრამ ნორმატივები შემოიღეს, რისთვისაც ეს აწოწილი ბიჭი აშკარად არ იყო მზად. პროფესიული სპორტის სიმძიმე თბილისში, არმიის სპორტულ კლუბში ყოფნისას გამოსცადა... მანამდე, გურამ საღარაძემ დაადგა თვალი ყვარელში, ჭაბუკთა პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში ლერი ხაბელოვთან წააგო, მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ იქ, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, მისთვის ახალი ჰორიზონტი გაიხსნა: ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა გურამ საღარაძემ არმიის სპორტულ კლუბში გადასვლა და მასთან ვარჯიში შესთავაზა.

მაშინ ჯარისკაცს ყველა პირობა ჰქონდა სავარჯიშოდ და დაიწყო ის, რასაც ნამდვილი ვარჯიში ჰქვია. თავიდან ძალიან ძნელი იყო, მაგრამ უკვე ერთი კვირის შემდეგ დავით გობეჯიშვილმა ბიჭებს, მათ შორის ლერი ხაბელოვს უთხრა: თუ ასე ვივარჯიშე, ოთხ წელიწადში მსოფლიო ჩემპიონი გავხდებიო. თითქოს ხუმრობით თქვა, არც სხვებს მიუღიათ სერიოზულად, მაგრამ ოთხ წელიწადს მართლაც არ გადაუცილებია.

მანამდე კი რამდენი ქილიკი მოისმინა მისმა მწვრთნელმა: რად გინდა ეს ჭოკივით ბიჭი, კალათბურთზე მიიყვანე ლევან მოსეშვილთან. თუ არ ივარგა, რაჭაში სიმინდის ყანა სადღა გაექცევა, ანდა პურის ქარხანაში წაიყვანე, რაჭველია და გამოგადგებაო.

გურამ საღარაძე: „ყვარელში, მოსწავლეთა პირველობაზე თვალში მომხვდა ფიჩხივით ბიჭი გრძელი კიდურებით, მაგრამ საოცრად პროპორციული სხეულით, თითქოს სუსტი, მაგრამ შინაგანად ძლიერი და ბრძოლისუნარიანი, — ესეც შევამჩნიე. მაგრამ ნეკნებს დაუთვლიდი, ისეთი იყო. ჩემთვის გავიფიქრე, ამან რომ 30 კილოგრამი მოიმატოს, ნამდვილი ათლეტი იქნება-მეთქი. ბიჭი ხალიჩაზე ლაღი იყო, სულ ღიმილი ჰქონდა სახეზე. საოცრად გრძნობდა ჭიდაობას, ერთხელ ისეთი უცნაური ილეთი ჩაატარა, ბიჭები აფხუკუნდნენ, მეც კინაღამ გამეცინა, მაგრამ უფრო სწორი იქნება ვთქვა, რომ გამიკვირდა. მას შემდეგ სად არ ვყოფილვართ ერთად, მისი რამდენი ჭიდაობა მინახავს, მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც ყვარლის ეპიზოდი მახსოვს. მაშინ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვიყავი. მივედი და გამოვეცნაურე, ისიც ვკითხე, რაჭველი ხომ არ ხარ-მეთქი. მთელი ავტობიოგრაფია მოვაყოლე. ძალიან სადად და ლაკონურად ყვებოდა. მალე ჯარი უწევდა და არმიის სპორტულ კლუბში ჩარიცხვა და ვარჯიში შევთავაზე. თუ გაუძლებ, დიდ სახელს გაითქვამ-მეთქი — ამასაც შევპირდი. ვკითხე, მე თუ მიცნობ-მეთქი? რავა არ გიცნობთ, მთელი მსოფლიო გიცნობთო, — ისე მითხრა, მართლაც რაჭულად, რომ გამეცინა... ბატონო გურამ, მშობლებს შევეკითხები, თვე-თვენახევარში გადავწყვეტთ და დაგირეკავთო. არმიის სპორტკლუბში ზაურ მჭედლიშვილი მუშაობდა, საბჭოთა





დავით გობეჯიშვილისა და ვლადიკავკაზელი ვიქტორ ზანგიევის შეხვედრა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე

კავშირის ჩემპიონი. მოგვიანებით დავურეკე და ვთხოვე, რომ კლუბში გობეჯიშვილი მიეღოთ... ახლაც ვნატრობ, რომ მსგავსი სპორტკლუბი იყოს ჩვენს არმიაში, სადაც სპორტსმენები მოიხდიან სამხედრო ვალდებულებას. მოკლედ, ჩამოვიდა თბილისში და ვარჯიში დაიწყო, აქ ნათესავებიც ჰყავს. პირველ რიგში, ის შევიპირე, რომ ჩვენ შორის ტყუილი არ უნდა ყოფილიყო, რასაც გეტყვი, უნდა შეასრულო-მეთქი. იმედი გაამართლა — რასაც დამპირდა, ყველაფერს ხუთიანზე აკეთებდა. ბეჯითი ბიჭი აღმოჩნდა, კარგად აღზრდილი, ყოველთვის თავმდაბალი და მორიდებული. ზრდილობა და უფროს-უმცროსობა ბავშვობიდან, ოჯახიდან ჰქონდა შესისხლხორცებული... ჩემი სიტყვა მისთვის თითქმის კანონი იყო, არასდროს სიტყვა არ შემოუბრუნებია და არც კაპრიზები ჰქონია. დამჯერი იყო მაშინაც კი, როცა უკვე მსოფლიო ჩემპიონი და ცნობილი ფალავანი გახდა. მხოლოდ სულ ბოლოს, როცა სპორტს თავს ანებებდა, ცოტა სმა დაიწყო... მე კარგად ავუღე ალღო მასთან მუშაობას, თავისუფლებას ვაძლევდი და მხოლოდ საჭირო დროს ჩავერეოდი ხოლმე.

თავიდან სიმძიმეების აწევა უჭირდა, ბაგირზე ასვლაც. ხანდახან შევეჯიბრებოდი — მწვრთნელმა როგორ უნდა გაჯობოს-მეთქი და პირველ ხანებში მართლაც ვჯობნიდი. მეც მასთან ერთად დავრბოდი, შტანგას ვეწეოდი... რაჭველია და ნელ-ნელა ბრაზდებოდა. ერთ დღეს ბაგირზე ფეხებდაუხმარებლად ავიდა, 100-კილოგრამიანი შტანგა ასწია; 100 მეტრზეც უკვე მესამეთანრიგოსნის დონეზე დარბოდა. კალათბურთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, მოქნილობა და სიმარჯვე ემატებოდა.

მერე ისე გაძლიერდა, ვარჯიშზე ბაგირზე ათ-თორმეტჯერ ადიოდა ხელებით. ერთხელ ზედიზედ ხუთჯერ ავიდა ისე, რომ ფეხები იატაკზე არ დაუბჯენია. მოჭიდავეს წამოიკიდებდა და ბაგირზე ასეც შეეძლო ასვლა. ყველაფერმა ამან საოცარი სისწრაფე მისცა, მოკლე დისტანციებზე — 30, 40, 60 მეტრზე სხვებს ასწრებდა... სულ სისწრაფე, სისწრაფე — ეს რაჭველი კაცი ძალიან სწრაფი გახდა. კიბეებზე არბენა, შტანგა... ყველაფერს მაღალ ტემპში აკეთებდა. მძიმე წონის მოჭიდავეებში ყველაზე სწრაფად შეეძლო ფეხში შესვლა, ორივე ფეხშიც, გვერდიდანაც... თუ საჭირო იყო, ფეხითაც შეეძლო ჭიდაობა და კისრულსაც აკეთებდა. ძალიან კარგად ასრულებდა იმ ილეთს, რომელიც მეტოქის ფეხების ჯვარედინად ჩავლებას და მერე ტრიალს გულისხმობს. და კიდევ, რაც ძალიან დაგვეხმარა, მისი აზროვნება იყო. დათო საჭიდაო ლეიბზე არასდროს დაბნეულა, ყველა სიტუაციიდან ახერხებდა გამოსვლას...

როგორ გადავწყვიტე მისი გამოყვანა მძიმე წონაში? ერთხელ საკავშირო სპარტაკიადის პარალელურად ჩემპიონატი ტარდებოდა მოსკოვში. ავწონეთ — 102 კილოგრამი გამოვიდა. 100 კილომდე არ დავაკლებინე. ინტუიცია მკარნახობ-

და, ვინ უნდა ყოფილიყო ახლო მომავალში ლერი ხაბელოვი და ვინ — დავით გობეჯიშვილი. ერთხელ დათოს ვუთხარი კიდეც, რომ 100 კილოგრამში ხაბელოვთან ჭიდაობა ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ საქმე მარტო ის არ იყო, რომ ერთ წონაში ორი ჩვენი საუკეთესო ფალავანი იჭიდავებდა და საქართველოს გუნდი ერთ უეჭველ მედალს დაკარგავდა. მე ჩემს მოწაფეში მძიმე წონის მოჭიდავეს ვხედავდი. წონის მოსამატებლად ვაიძულებდი მეტი ეჭამა... მაშინ მოსკოვში მისი მთავარი მეტოქე იყო ვლადიმირ პარშუკოვი, პროფესიით ტყისმჭრელი, დათვივით ღონიერი კაცი. დათოზე 20-25 კილოგრამით მეტს იწონიდა და გამოცდილებითაც აშკარად აღემატებოდა. დათომ პარშუკოვი მალე ჩამოიცილა გზიდან და ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის ნაკრებში."

გობეჯიშვილის თქმით, ის და გურამ საღარაძე ახლო მეგობრები არიან. მოსწავლესა და მასწავლებელს თავიდანვე კარგად წაუვიდათ საქმე. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძალიან მომთხოვნი მწვრთნელი გამოდგა, მოწაფე კი დამჯერი.

დავით გობეჯიშვილი: „ჭიდაობაზე მე ჩემი აზრი მაქვს. მოჭიდავესა და მწვრთნელს შორის, რა თქმა უნდა, კარგი ურთიერთობა უნდა იყოს, რა თქმა უნდა, მწვრთნელს უნდა მოუსმინო, მით უმეტეს, ასეთ ტიტულოვანს. მაგრამ მოჭიდავესაც უნდა ჰქონდეს საკუთარი ინდივიდუალური მიდგომა, თვითონაც უნდა ცდილობდეს... მაგალითად, არსენ ფაძაევის და მისი მწვრთნელის დედეკაევის მაგალითი ავიღოთ, იგივე ლერი ხაბელოვის და ვანო ნიკოლაძისა. როგორ შეიძლება ამხელა დონის მოჭიდავეს თავში ჩაუდო, რაც მე გასწავლე, სულ ისე მოიქეცი ხალიჩაზეო. საჭიდაოდ რომ შედიხარ, იქ უკვე მარტო ხარ, აღარავინ გყავს დამხმარე. ავიღოთ ლევან თედიაშვილი... თუ სულით ჩემპიონი არ ხარ, ვერაფერს გახდები.

რამდენი მოჭიდავე მინახავს, ჩემზე მეტი ოფლი აქვთ დაღვრილი, ჩემზე უკეთეს პირობებში მომზადებულან, მაგრამ ჩემპიონები ვერ გამხდარან. დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ხასიათს და საქმისადმი პროფესიულ მიდგომას. და რა ხასიათიც და მონაცემებიც არ უნდა გქონდეს, შრომის გარეშე არაფერი ხდება, ერთმანეთში უნდა იყოს შერწყმული ყველაფერი. შრომისმოყვარეობა მე ბავშვობიდანვე მქონდა, გენეტიკურადაც ჯანმრთელი ვიყავი და მხოლოდ სწორი ვარჯიში მჭირდებოდა. გურამი არ ჩქარობდა, მძიმე ვარჯიშები იყო, მაგრამ ხალისიანი. თუ ხალისი გეკარგება, მერე ვეღარაფერს აღწევ. ყველაფერს დრო სჭირდება. არ შეიძლება შვიდი წლის ბავშვი ჭიდაობაზე მიიყვანო. ჩვენი სპორტი ძალისმიერი სპორტია, ვიდრე დავაჟკაცებამდე და შედეგებამდე მიაღწევ, დიდი დრო გადის და ადამიანს ბეზრდება. დიდი სიფრთხილეა საჭირო. ტანვარჯიში ხომ არ არის, ყმაწვილობაში რომ ამთავრებენ სპორტს"...



ოლიმპიური ჩემპიონი
ჩოხა-ახალუხში.
ონი, 2008 წელი

ის ვლადიმირ პარშუკოვი, გობეჯიშვილმა 1983 წელს საკავშირო ნაკრებში რომ შეცვალა, უბრალო მოჭიდავე არ იყო: საბჭოთა კავშირის აბსოლუტური და ევროპის ჩემპიონი გახლდათ. იმ წელს სსრკ ჩემპიონატში გობეჯიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, პირველობასთანაც ახლოს იყო, მაგრამ მას სულ ბოლო წამებზე გადაურჩა ცნობილი ორჯონიკიძელი მოჭიდავე ვიქტორ ზანგიევი, რომელიც ჩემპიონი გახდა.

იმ დროს მთავარი შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა იყო. დავით გობეჯიშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სასპარტაკიადო ტურნირს და სწორედ მაშინ ირწმუნა საბოლოოდ, რომ არავინ იყო ისეთი ამქვეყნად, ვისთანაც ჭიდაობა არ შეიძლებოდა. მეტოქეთა ტიტულებისა კი არასდროს შინებია. პირიქით, მათი რეგალიები უფრო საბრძოლველად განაწყობდა: „ეს ტიტულიანმა იფიქროს, თორემ უტიტულოს რა აქვს დასაკარგი. ახალგაზრდა რომ ხარ, ვიდრე საბოლოოდ ჩამოყალიბდები, უფრო თამამი ხარ. გამოცდილმა მოჭიდავემ ყველა ძირითადი ფანდი იცის, ყველა კონტრილეთი, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს ელოდება, ახალგაზრდა კი თამამია... მოსკოვში რომ ვიჭიდავე, უკვე 197 სანტიმეტრი სიმაღლის ვიყავი და 103-104 კილოს ვიწონიდი. ყველაზე მსუბუქი მე ვიყავი. ჯერ მინდოდა 100 კილოგრამში მეჭიდავა, მაგრამ გურამის გადაწყვეტილება სწორი იყო: მე მაინც მძიმე წონის მოჭიდავედ უნდა ჩამოვყალიბებულიყავი და მწვრთნელმა დროულად მიიღო გადაწყვეტილება.

...მე და ლერი ხაბელოვს ერთად ვარჯიში და სპარინგპარტნიორობა გვიწევდა. მძიმე წონაში ჩვენთან დიდი კონკურენცია იყო, 100 კილოგრამში — შედარებით ნაკლები. ადრეულ ასაკში გია გალდავასთან ბევრჯერ მაქვს წაგებული, 1984 წლამდე. იყვნენ კიდევ ზაზა თურმანიძე, ჯიმი ტარიელიძე, ლევან ებანოიძე, კობა ლოჩოშვილი, ზურაბ ძაძამია, საწყალი გიგა ჭარხალაშვილი — ბევრნი ვიყავით მძიმე წონაში. დიდებში საქართველოს ჩემპიონი 1983 წელს გავხდი, ზაზა თურმანიძეს მოვუგე ფინალში“...

მაშინ დათო უკვე „დინამოს“ სახელით გამოდიოდა, თუმცა, ფიქრობს, არმიელთა რიგებში რომ დარჩენილიყო, მისი კარიერისთვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა.

ნახტომი

გია გალდავა: „დათო საქართველოს ჩემპიონატზე გავიცანი. პირველი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ვერავის წარმოგვედგინა, საერთოდ რაიმე ნიჭი თუ ჰქონდა ჭიდაობის, იმდენად შეუფერებელი ჩანდა ამ საქმისთვის — ძალიან მაღალი,

გრძელი კიდურებით... დათოს სპორტული ზრდა და აღმავლობა, ალბათ, უფრო 1983 წლიდან დაიწყო, როცა მოსკოვში, საკავშირო სპორტკომიტეტის პრიზზე გამოდიოდა (მე მაშინ100 კილოში ვიყავი). დათომ ისეთი ჭიდაობა შესთავაზა მაყურებლებს და მწვრთნელებს, ერთბაშად ყურადღების ცენტრში მოექცა, მისი ჭიდაობა მსჯელობის საგანი გახდა.

თუ მანამდე დათო ახალგაზრდების საკავშირო გუნდში ვერ ხვდებოდა, ამის შემდეგ უცებ დიდების ნაკრებში აღმოჩნდა. მაშინ ქვემძიმე და მძიმე წონაში ძალიან დიდი კონკურენცია იყო, დათოს 10-12 კონკურენტი ჰყავდა. იქაც ელვისებურად გადაასწრო ყველას. თუ შეიძლება გენეტიკურად რაიმე ფარული სპორტული ნიჭიერება არსებობდეს, რომელიც ჰქონიათ საერთოდ ქართველ ფალავნებს, დათოს ყველა ეს თვისება გააჩნდა და გარდა ამისა, ძალიან მონდომებული და მიზანსწრაფული იყო. მცირე დროში მომძლავრდა ფიზიკურად, გამძლეობაც არანორმალურად ძლიერი გაუხდა. ტექნიკური არსენალიც ისეთი ჰქონდა, რომ იმ პერიოდში მთელი წლები უნდა ემუშავა საჭიდაო სამყაროს, რომ დათოს ვინმე შეწინააღმდეგებოდა. კისრული ხომ ყველამ იცის, მოგვერდი და სხვა, მაგრამ დათო ამ ილეთებს თავისებურად აკეთებდა და მეტოქეს ცარიელზე ტოვებდა. გურამ საღარაძემაც შეამჩნია ეს ნიჭი და ძალიან დიდი შრომა ჩაიდო დათოს წარმატებაში. დათო გობეჯიშვილმა დაამსხვრია არსებული სტერეოტიპი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მძიმე წონის მოჭიდავე და შექმნა ახალი სტილი, რომელიც მანამდე უფრო დაბალი წონებისთვის იყო მისაღები.

რომელი შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ დიდ მოჭიდავესთან მქონდა საქმე? ეს იყო ერევანში, ბაუმგარტნერს პირველად რომ მოუგო. ტელევიზორში ვნახე ეს ჭიდაობა და ვთქვი, დათოს შეჩერება ძალიან ძნელი იქნება-მეთქი. მერე აქ, თბილისის ტურნირზე მე მომიგო 3:2. მოვიდა და მითხრა, შენთან შეხვედრას მერჩივნა, ისევ ბაუმგარტნერთან მეჭიდავაო. როცა მომიგო, მერე დამიმეგობრდა, მანამდე მხოლოდ მესალმებოდა ხოლმე. ბაუმგარტნერს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუგო, მათ შორის სეულის ოლიმპიადის ფინალი. ამერიკელი არანორმალურად ძლიერი იყო ფიზიკურად, ტექნიკურ-ტაქტიკურად კი დათოს ჩამორჩებოდა.

დათოსთან დღემდე ვმეგობრობ. არ არის კარჩაკეტილი ადამიანი, მასთან ურთიერთობა და მოლხენა ყველას სიამოვნებს. სიგარეტს ადრეც ეწეოდა და სასმელსაც სვამდა ცოტ-ცოტას, მაგრამ, როცა შეჯიბრებისთვის ემზადებოდა, აღარაფერს ეკარებოდა — ნიჭისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე მიაღწია ყველაფერს“.

ზაზა თურმანიძე: „მე და დათო პირველად 1981 წელს შევხვდით. ჭაბუკების შეკრებაზე ვიყავით, მერე ყარაგანდაში უნდა გვეჭიდავა საბჭოთა კავშირის პირ-

ველობაზე. დათოს გადაკეთებული პასპორტი ჰქონდა, 1964 წელში დაბადებულის, გუნდში რომ მოხვედრილიყო. ახლა არ მკითხოთ, ვინ გადაუკეთა. მაინც ვერ მოხვდა გუნდში, გაბრაზებულმა იქვე გადააგდო ყალბი მოწმობა, — ეს მე არ მჭირდება, მაინც გავხდები დიდი მოჭიდავეო, — თქვა და აასრულა თავისი სიტყვა.

თავიდან ვინ იფიქრებდა, რომ ეგ ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. ეს იცოდა მარტო დათომ და მისმა გენეტიკამ. გურამთან ვარჯიში რომ დაიწყო, მას მერე სულ ერთად ვიყავით დარბაზში. 1983 წლის დასაწყისში დიდების ჩემპიონატის ფინალში ვიჭიდავეთ, თუმცა ასაკით ჯერ პატარები ვიყავით. ძალიან სწრაფად მოხდა დათოს დაწინაურება, მე წელის ტრავმა მივიღე და წელიწად-ნახევარი ხალიჩაზე არ გამოვჩენილვარ. რომ დავბრუნდი, ველარ ვიცანი, ისე გაზრდილიყო. ამერიკელებთან მატჩში ბაუმგარტნერსაც მოუგო და ლიდერი გახდა საბჭოთა კავშირში. მე მისი დევნა მომიწია, მაგრამ რაღას დავეწეოდი...

დავით გობეჯიშვილი უძლიერესი მძიმე წონის მოჭიდავე იყო, ყველაზე ძლიერი, ვინც კი საერთოდ მინახავს. თუ ჩვეულ ფორმაში იყო, მისთვის პრობლემას არც ამერიკელი წარმოადგენდა და არც არავინ, თუმცა პირადი გამოცდილებით ვიცი, რა რთული იყო ბაუმგარტნერთან ჭიდაობდა, ორჯერ წავაგე მასთან მსოფლიო თასზე... ასეთი აღნაგობის მიუხედავად, დათო ძალიან ძლიერი იყო, შეეძლო ფეხებში შევარდნა, ჩოქბჯენში ტრიალი... ევროპის ჩემპიონატის ფინალში, 1985 წელს, გერმანელ შრიოდერთან შესანიშნავი უკუბრუნი გააკეთა და მეტოქე გადაადგო, მაგრამ, ძირითადად, თავის „სტრატეგიულ“ არსენალს იყენებდა. მისი ყველა ჭიდაობა იყო გამორჩეული, გარეგნობითაც იქცევდა ყურადღებას, მაგ ტიპის სხვა მძიმე წონის მოჭიდავე ალბათ არც ყოფილა.“

ვლადიმერ მესტვირიშვილი: „საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად 1982 წელს დავინიშნე და ვიდრე დათო ჭიდაობას დაამთავრებდა, სულ მე ვიყავი ამ პოსტზე. იმ წელს უკვე კარგი გუნდი გვყავდა, ახალგაზრდული, მაგრამ არ გვყავდა მსოფლიო ჩემპიონი.

დათო კარგად გაზრდილი ბავშვი იყო, ინტელიგენტების ოჯახიდან. რაჭული სიდინჯე და მიხვრა-მოხვრაც ჰქონდა, მიზანსწრაფვა კი სხვებზე მეტი. დიდი საქმე გაგვიკეთა არმიის სპორტული კლუბის მაშინდელმა უფროსმა ალბერტ კუხიანიძემ და უფროსმა მწვრთნელმა ზაურ მჭედლიშვილმა. ძალიან გვიწყობდნენ ხელს. დილის შვიდ საათზე იქ ვიყავი ხოლმე, როცა ჯარში გაწვეული სპორტსმენების სიას კითხულობდნენ. კუხიანიძე დისციპლინის დამრღვევებს ვარჯიშზე არ უშვებდა, ასე სჯიდა. ერთხელ ისეთი ჩხუბი მომივიდა ამის გამო, რომ გარეთ გამიძახა. მაგრამ დისციპლინა მართლაც სანიმუშო ჰქონდა, რაც ძალიან გამოგვადგა. მა-

შინ ყველაფერმა ერთად გამოიღო შედეგი: ძალიან გვეხმარებოდა საქართველოს სპორტკომიტეტი, ჭიდაობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გურამ მგელაძე და ძველიც — მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი... ჩემს გვერდითაც კარგი მწვრთნელები მუშაობდნენ: მარლენ ოსიყმაშვილი, ვალიკო იაშვილი, ჯონი ლორია, ვანო ნიკოლაძე და სხვები. ძალიან გვეხმარებოდა გურამ საღარაძე, ჩემამდე ნაკრების უფროსი მწვრთნელი ეგ იყო.

1983 წელს, როცა წინასასპარტაკიადო შეკრებაზე ვიყავით ბორჯომში, იქ დავინახეთ ნამდვილი დათო. მძიმე წონაში დიდი კონკურენცია იყო: მარტო საქართველოში 7-8 ისეთი მოჭიდავე გვყავდა, საერთაშორისო დონეზე რომ იჭიდავებდნენ. ჯიმი ტარიელიძე ძალიან კარგი მოჭიდავე იყო, პარტნიორებიც ძლიერი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის დათო აშკარად გამოიკვეთა, ლიდერსაც კარგად უმკლავდებოდა, მაგრამ, რადგან ტარიელიძე მაინც გუნდის პირველი ნომერი იყო, საკავშირო სპარტაკიადაზე ის გამოვიყვანეთ. დათომ პარალელურად მიმდინარე ქვეყნის ჩემპიონატში იჭიდავა. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, როცა ყველა ცნობილი მძიმე წონის მოჭიდავე ასაკის გამო სპორტს თავს ანებებდა. მოკლედ, საკავშირო ნაკრებში ახალ კაცს ეძებდნენ, გობეჯიშვილი კი ახალგაზრდებში ათი თავით მაღლა იდგა სხვებზე. გაამართლა კიდეც... დათოს ერთი გამორჩეული თვისება ჰქონდა — საჭიდაოდ განწყობა. არასდროს მომხდარა, რომ შემთხვევით მოეგოს — ესეც ხდება ჭიდაობაში. ყოველთვის თავისი შემართებით იგებდა. შეიძლება წაეგო კიდეც, ვის არ წაუგია, მაგრამ, როცა ასეთი განწყობით გამოდიოდა ხალიჩაზე, უეჭველად იმარჯვებდა“...

1984 წელი ოლიმპიური თამაშების წელიწადი იყო. დავით გობეჯიშვილი საკავშირო ნაკრებში ირიცხებოდა, მაგრამ ოლიმპიური პერსპექტივა ჯერ შორს იყო. მძიმე წონაში გუნდის პირველ ნომრად მალხაზ მემარნიშვილი ითვლებოდა. გაზაფხულის მიწურულს, კრასნოიარსკში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ მოჭიდავეთა გუნდს გამაოგნებელი გადაწყვეტილება აცნობეს – ლოს-ანჯელესი დაივიწყეთო. მანამდე საბჭოთა მძიმეწონოსნებს თბილისის ტურნირზე, როგორც ზემოთ ვთქვით, ბრიუს ბაუმგარტნერის შემოტევის მოგერიება მოუწიათ. ამერიკელმა წინა წლის მსოფლიო ჩემპიონატი უფრო შემთხვევით წააგო, საბჭოთა კავშირში კი დამაჯერებელი რევანში აიღო — თბილისში, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა საუკეთესო მძიმეწონოსანს მოუგო. გობეჯიშვილს ვერ შეხვდა, რადგან 21 წლის დათო იქამდე არ მიუშვეს. 1984 წლის მიწურულს დავით გობეჯიშვილმა ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის თასი აიღო და გარდა მალხაზ მემარნიშვილისა (ტრავმის გამო არ უჭიდავია), ყველა უძლიერეს მძიმეწონოსანს აჯობა.

პირველი შერკინება ბაუმგარტნერთან

1985 წელს ახალი ოლიმპიური ციკლი იწყებოდა და საკავშირო ნაკრების მწვრთნელები ბჭობდნენ, მძიმე წონის მოჭიდავეებიდან პირველი ვინ შეეგდოთ ლომის ხახაში: ერევანში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოსული იყო ლოს-ანჯელესის თამაშების ტრიუმფატორი, აშშ-ის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები უკვე ოლიმპიური ჩემპიონის, ბრიუს ბაუმგარტნერის მეთაურობით. მასთან ყველა საბჭოთა მძიმეწონოსანს წაგებული ჰქონდა. ნებისმიერი მომდევნო მარცხნაჭამი მოჭიდავე ნაკრებს უეჭველად გამოემშვიდობებოდა. მოკლედ, არავის უნდოდა ჭიდაობა. მერე ადგნენ და დაბალი ღობეც გამონახეს — 22 წლის დათო გობეჯიშვილი: „დავიწყეთ ჭიდაობა. დაახლოებით ერთ წუთში, მგონი, უკვე 5:0-ს ვიგებდი. ფეხებში წამოვიდა — დაბლა, ხალიჩაზე დავტოვე. მერე „ვერტუშკას“ მიკეთებდა და ორქულიანზე დავიჭირე, შემდეგ თვითონ შევედი ფეხში. მეორე პერიოდში კი დავიღალე. სიცხიანი ვჭიდაობდი, მაგრამ იმდენი რესურსი მქონდა, ველარ ამომიქაჩა, 9:6 დამთავრდა შეხვედრა. ასეთი შედეგი მოულოდნელი გამოდგა. ის ოლიმპიური ჩემპიონი იყო, მე — ნაკლებად ცნობილი მოჭიდავე. ისე, ხალიჩაზე ნანახი მანამდეც ვყავდი. საბჭოთა მოჭიდავეებს ყველას აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ“...

მოკლედ, ერევანში სათავე დაედო ახალ ისტორიას ყველაზე პრესტიჟულ — მძიმე წონაში. მაგრამ წინ იყო თბილისის მორიგი საერთაშორისო ტურნირი და გობეჯიშვილ-ბაუმგარტნერის რიგით მეორე ბრძოლა. ერევანში სირცხვილნაჭამი ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი თბილისში უფრო მონდომებით და საზრიანად ირჯებოდა (ამას თავად გობეჯიშვილიც აღიარებს) და ღირსეულადაც მოუგო ხალიჩის მასპინძელს. მაგრამ წინა წლისგან განსხვავებით, პირველ ადგილზე მაინც ვერ გავიდა — ფინალში ორჯონიკიძელ ვიქტორ ზანგიევთან დამარცხდა. მესამე ადგილი მემარნიშვილმა დაიკავა, დათო მეოთხე იყო.

წინ იყო ამერიკაში გასამართი მსოფლიო თასი. ცხადია, საბჭოთა გუნდში ბაუმგარტნერის მძლეველი ზანგიევი დააყენეს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამშობლოში დამაჯერებელი რევანში აიღო. ნაკრებში მოწინავე პოზიციების დასაბრუნებლად, გობეჯიშვილს ჯერ ბულგარეთში, დან კოლევის საერთაშორისო მემორიალის მოგება დასჭირდა, შემდეგ კი, უკვე ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე — მალხაზ მემარნიშვილის ძლევა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო და დათო პირველად გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატზე. მანამდე მას რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ჰქონდა მოგებული, მათ შორის, სკოპლესა და გეტებორგში, ასევე საკავშირო თასი, მაგრამ ოფიციალურ ჩემპიონატებზე თავი არ გამოეცადა.

1985 წლის ევროპის ჩემპიონატი ლაიფციგში ჩატარდა. ამაზეა ნათქვამი — მოვიდა, ნახა, გაიმარჯვაო. იქ გობეჯიშვილის შემჩერებელი არავინ აღმოჩნდა და ისე მოიგო მთელი ტურნირი, ერთი ქულაც არ დაუთმია. არადა, ნახეთ ვის დაეჭიდა: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, უნგრელ იოჟეფ ბალას, მასპინძელთა იმედს ანდრეას შრიოდერს, საბჭოთა მოჭიდავეების მრისხანე მეტოქეს, ბულგარელ ათანას ათანასოვს. სწორედ ათანასოვთან გამართულ შეხვედრას უნდა გაერკვია ჩემპიონის ვინაობა. 8:0 — გობეჯიშვილმა ასეთი ანგარიშით მოიგო ფინალი და პირველად დაეუფლა ევროპის ჩემპიონის ტიტულს.

მაგრამ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობა მართლაც მონომახის ქუდის ტარებას ჰგავდა, მით უმეტეს, არარუსი მოჭიდავეებისთვის. თავისუფალი ჭიდაობა საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში იყო განვითარებული და სულ უფრო ძნელი ხდებოდა შიდა ჯეგირის გარღვევა, ჯერ ნაკრებში მოხვედრა, მერე კი ადგილის შენარჩუნება. თითოეულ წონაში ერთდროულად რამდენიმე მოჭიდავეს შეეძლო ოლიმპიადების თუ მსოფლიო ჩემპიონატების მოგება, მთავარი იყო ვინ წავიდოდა იქ. მძაფრი კონკურენცია ზრდიდა საერთო დონეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამის გამო ბევრი დაიჩაგრა... ლაიფციგში გამარჯვების შემდეგ, ბუნებრივია, გობეჯიშვილს მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის პერსპექტივა გაუჩნდა, მაგრამ თავისი უპირატესობა კიდევ ერთხელ უნდა დაემტკიცებინა საკავშირო ჩემპიონატზე. ეს ჩემპიონატი ირკუტსკში გაიმართა და იქ შეიკრიბა ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრის ყველა ძირითადი კანდიდატი: გობეჯიშვილი, მემარნიშვილი, ზანგიევი, მაგომედოვი... ჩემპიონატში ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა. დათომ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და ეს გააკეთა ძალიან შთამბეჭდავად და აუღელვებლად.

მერე იყო 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ბუდაპეშტში. უნგრეთში ყველა უძლიერესი ჩავიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა დავით გობეჯიშვილისთვის, რადგან ისე იყო მომზადებული თავისი პირველი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, უკეთ რომ არ შეიძლება.

ჩვენს ფალავანს პირველ წრეში ცნობილმა ავსტრიელმა მოჭიდავემ გაბრიელ ტოტმა 3 წუთზე ცოტა მეტი გაუძლო და 12 ქულა დათმო. მეორე წრეში გობეჯიშვილს ბრიუს ბაუმგარტნერი ელოდა, რომლისთვისაც მსოფლიო ჩემპიონობა ჯერ აუღებელი სიმაღლე იყო. ერევნული ამბავი გამეორდა... დათომ კარგად იცოდა, რომ დასწრებაზე უნდა ეჭიდავა და სწრაფად მოეპოვებინა უპირატესობა. მეტოქე ჯერ ჩოქბჯენში გადაიყვანა და იქვე მისი დატრიალებაც მოახერხა — 2:0, შემდეგ ფეხებში შევიდა და ასე აიტაცა 135-კილოგრამიანი გიგანტი — 6:0. ამას ისევ ტრი-

ალი მოჰყვა და ანგარიში 8:0 გახდა. ამ კატასტროფულ სიტუაციაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ როცა დათო ჩოქბჯენში ჩააყენეს, მეორე ცდით დაატრიალა, რის შემდეგაც მეტოქეებმა თითო ქულა კიდევ აიღეს — 9:3! ჩაჩოქილმა ამერიკელმა, რომელიც მეტოქის მორიგ ილეთს ელოდებოდა, ასე „ქვემოდან“ მიულოცა გამარჯვებულს და ხელი ჩამოართვა.

ამ ჩემპიონატზე გობეჯიშვილს ბაუმგარტნერზე ძლიერი მეტოქე არ ჰყოლია და იმ 3 ქულის გარდა, არავისთვის არაფერი დაუთმია. კუბელ ფილიპ მესას წუთნახევარში გაუსწორდა, შრიოდერს — წუთსა და 20 წამში. ფინალში უნგრელებმა სულ ერთი წუთი და 24 წამი უგულშემატკივრეს თავიანთ კუმირს, რადგანაც გამოცდილმა იოჟეფ ბალამ მეტი ვეღარ გაუძლო 22 წლის გობეჯიშვილს, რომელმაც იმ წლის ევროპულ ტიტულს მსოფლიო ჩემპიონობაც დაუმატა. როგორც გურამ საღარაძე ირწმუნება, მისმა მოწაფემ ბუდაპეშტში ორჯერ ისეთი ილეთი გამოიყენა ბაუმგარტნერისა და შრიოდერის წინააღმდეგ, ოთხქულიანები, რომელიც მანამდე არ უსწავლია – დათოს ასეთი რაღაცეებიც ჩვეოდაო. უნგრეთის დედაქალაქში ლერი ხაბელოვმაც გაიმარჯვა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

ბუდაპეშტში გობეჯიშვილის გამარჯვების გამო კინაღამ გადაირია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელი ჭიდაობაში ვიქტორ კოლესნიკი. ამ წარმატებას პოლიტიკის სუნიც ასდიოდა: ოლიმპიურ წელს ამერიკელი და საბჭოთა მოჭიდავეები ძირითად ტურნირებში „დიდმა პოლიტიკამ“ გაჰყო — ერთნი მოსკოვში და მეორენი ლოს-ანჯელესში ჭიდაობდნენ, ბუდაპეშტში კი ჭიდაობის სამყარო ერთიანდებოდა და ყველას უნდოდა დაემტკიცებინა, თუ ვინ იყო უძლიერესი. მძიმე წონა კი ყველაზე პრესტიჟულია, ამიტომ კოლესნიკი დათოს რუსულს არ ენდობოდა და მშობლიურ ენაზე უყვიროდა ხალიჩაზე გასულ ქართველ ფალავანს: „მიდი, დატო, მიდი... ეგრე, ცელში, ცელში შედი,“ — მინდიაშვილი და იქ მყოფი ანდიევიც მის დასახმარებლად იყვნენ შემართულნი.

დავით გობეჯიშვილი დეკემბრის მიწურულს სპორტულმა ჟურნალისტებმა საქართველოს 1985 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს, მეორედ — 1990 წელს, მაშინაც მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა 1986 წლის დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონმა თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა (მაშინ ბაუმგარტნერი საქართველოში აღარ ჩამოვიდა), სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ გობეჯიშვილს ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში და მომდევნო რამდენიმე წელიწადი მისი ეპოქა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარად განსაჯა... როგორც ვლადიმერ მესტვირიშვილი ამბობს: „1985 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე დათო გობეჯიშვილმა



დავით გობეჯიშვილს თბილისის ტურნირზე გამარჯვებას ულოცავს გურამ საღარაძე



დავით გობეჯიშვილი: „დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ხასიათს და საქმისადმი პროფესიულ მიდგომას. და რა ხასიათიც და მონაცემებიც არ უნდა გქონდეს, შრომის გარეშე არაფერი ხდება, ერთმანეთში უნდა იყოს შერწყმული ყველაფერი. შრომისმოყვარეობა მე ბავშვობიდანვე მქონდა, გენეტიკურადაც ჯანმრთელი ვიყავი და მხოლოდ სწორი ვარჯიში მჭირდებოდა. გურამი არ ჩქარობდა, მძიმე ვარჯიშები იყო, მაგრამ ხალისიანი.“

ბაუმგარტნერი პირდაპირ მასხარად აიგდო. ბუდაპეშტში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი. მაგრამ შემდეგ ყველას შეიძლება შეეყაროს ვარსკვლავური სენი. ამაში სპორტსმენი არ ტყუის, უფრო გარემოცვა — ხან ცეკას მდივანიო, ხან რაიკომის, იქით კინოო, ხან ესა და ხან ისა. 22 წლის ბიჭს მეტი რაღა უნდოდა?! უფროსები ასეთ ახალგაზრდებს ვითომ პატივს სცემენ, მაგრამ სინამდვილეში დაბლა სცემენ მათ შედეგებს. წესით, 86-შიც დათოს უნდა გაემარჯვა მსოფლიო ჩემპიონატში, მაგის მომრევი არც ბაუმგარტნერი იყო, არც არავინ"...

ლერი ხაბელოვი: „პირველად დათო საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ვნახე ონში. ძალიან მაღალი იყო, მასზე უფრო დიდი წონის მოჭიდავეებზე მაღალი. მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი, არც დაგვამახსოვრდა. შემდეგ, არმიის სპორტკლუბში რომ მსახურობდა, ყველანი ფალავანთა კლუბში ვვარჯიშობდით. არც მაშინ ჰქონია დიდი შედეგები, მე კი ჭაბუკობიდან მუდამ საკავშირო ნაკრებში ვიყავი.

მერე წონა მოიმატა და მეტი შედეგები აჩვენა, 100 კილოგრამ წონაში ჭიდაობდა ხოლმე. პირველი დიდი წარმატება მინსკში, მედვედის ტურნირში ჰქონდა, შეიძლება თვითონაც არ ახსოვს. დათო იქ პირველი იყო. მაშინ დავინახე, რომ მართლა შეეძლო ჭიდაობა. მერე სასწაული მოხდა, 105 კილოგრამი წონის დათომ 130-კილოგრამიან ბაუმგარტნერს მოუგო აშკარა უპირატესობით. მაშინ დავრწმუნდი, რომ დიდ მოჭიდავესთან გვქონდა საქმე. ასე შემოაღო კარი დათომ დიდ სპორტში, უცებ მოვიდა, თითქოს ამას იოლად მიაღწიაო. მისი ძირითადი მეტოქეები მემარნიშვილი და ზანგიევი იყვნენ. ორივეს ცდიდნენ ბაუმგარტნერთან, მაგრამ ამერიკელი ორივეს უგებდა. მას მარტო ხასიმიკოვი ერეოდა, რომელმაც 1984 წელს, როცა „დრუჟბაზე" წააგო მემარნიშვილთან, ჭიდაობას თავი დაანება.

იმ წელს, ლაიფციგში, ჩვენ ერთად დაგვაყენეს ევროპის ჩემპიონატზე. დათომ დამაჯერებლად გაიმარჯვა, მას შემდეგ ჩვენ სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთს ვეხმარებოდით და ვაკონტროლებდით კიდეც.

კონკურენცია თუ არ არის, არც შედეგია. ჩვენ ერთმანეთისთვის ძალიან კარგი სპირინგ-პარტნიორები ვიყავით. მართლაც კარგია, როცა ასეთი მეტოქე გყავს ვარჯიშებზე. თანაბარი ჭიდაობა გვქონდა ხოლმე, მაგრამ მოგებაზე ხომ არ იყო საქმე — ჩვენ საერთო საქმეს ვაკეთებდით.

მე ასე ვფიქრობ, რომ დათოს ძირითადი კოზირი იყო სისწრაფე, ფეხებში კარგად შედიოდა, ძირითადად ამით უგებდა ამერიკელს... საერთოდ, მსოფლიოში ყოველთვის რამდენიმე ძლიერი მეტოქე გყავს ხოლმე. დათოს ბაუმგარტნერი ჰყავდა.

ამერიკელს ძალიან დიდი მასა ჰქონდა, მაგრამ დაუღლელი იყო, ხელებიც გრძელი ჰქონდა და პროპორციულად იყო აგებული.

ვარჯიშზე მე ბაუმგარტნერს ვთამაშობდი, დათო — ჩემს მეტოქე ასლან ხადარცევს, რომელიც ჯერ 100 კილოგრამში გამოდიოდა. ასლან ხადარცევიც ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად, დათოსავით და დათოც იმ მოძრაობებს აკეთებდა, რომელიც გამომადგებოდა. ეს ალალი ურთიერთდახმარება იყო, ჩვენ მეტოქეები არ ვიყავით და ერთმანეთს მხარში ვედექით. მეც 105 კილოგრამს ვიწონიდი, მაგრამ წონის დაკლება ჩემთვის პრობლემა არ იყო, მხოლოდ ერთხელ ვიჭიდავე მძიმე წონაში საბჭოთა კავშირის თასზე, როცა დათო არ გამოდიოდა.

სადაც ვიყავი, ყოველთვის ვუყურებდი გობეჯიშვილისა და ბაუმგარტნერის ჭიდაობას. დათო ყოველთვის მოუგებდა ამერიკელს, თუ ფორმაში იქნებოდა. ბაუმგარტნერიც არ იყო სტაბილური — ძალიან სუსტ მოჭიდავესთანაც წაუგია. დათო თუ იგებდა, დამაჯერებლად იგებდა. სულ ფორმაში ვერ იქნები. მე და დათოსაც სულ გვიწევდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში გამოსვლა. რა დასამალია, მიკერძოებაც იყო ნაკრების მწვრთნელების მხრიდან — ჩვენ ვინ რას გვაპატიებდა? — ყველგან უნდა გვეჭიდავა, თორემ ნაკრებში ვერ მოვხვდებოდით. სხვა ფავორიტებს — ბელოგლაზოვს, ფაძაევს დასვენების საშუალებას აძლევდნენ. ამიტომ ჩანდნენ ისინი სულ გამარჯვებულები, თითქოს მუდამ ფორმაში იყვნენ. ეს გამორიცხულია, შეუძლებელია, რომ სულ მუდამ ფორმაში იყო...

დათო ჩემთვის მხოლოდ კარგი პარტნიორი არ იყო, მეგობრები ვიყავით — ნაკრებში მე იმას ვქომაგობდი და ის მე. მე უფრო ემოციური ვიყავი, ფიცხი, ის კი რაჭველი კაცია და დინჯი, უფრო ითმენდა, შემდეგ მოგვიანებით მეტყოდა ხოლმე თავის სათქმელს. ნაკრებში პრეტენზიული არ იყო მწვრთნელების მიმართ, მით უმეტეს, რომ რუსული მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და სათქმელს სრულად ვერ უხსნიდა მათ. ამის გამო იუმორის საგანიც ხდებოდა.

1985 წელს ორივე ძალიან პოპულარულები გავხდით. ლევან თედიაშვილის შემდეგ 10 წელიწადი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი არ გვყოლია და უცებ ჩვენ გამოვჩნდით. შეიძლება ცოტა თავში აგვივარდა. სულ ახალგაზრდები ვიყავით, მე მაშინ ის-ის იყო შემისრულდა 21 წელი. ამ დროს ახალგაზრდა ადამიანი თავისებურად დუნდება უმაღლეს მიზანს რომ მიაღწევს. მერე შემდგომ რაღა? — ამას ფიქრობს. გეჩვენება, რომ ის ვარჯიშები აღარ არის საჭირო, უკვე ჩემპიონი ხარ, მაგრამ შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მიღწევა.

85-ში დათოც მოდუნდა. ახალგაზრდული ბუნების ბრალი იყო. თან ფილმიც გამოჩნდა, დათო დაქორწინდა... დღეს ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ მაშინ სხვა



დავით გობეჯიშვილი და ბრუს ბაუმგარტნერი. ბარსელონის ოლიმპიური თამაშები, 1992 წელი

იყო, მაგრამ 86-ში მაინც კარგად ჭიდაობდა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში შეხვდა ბაუმგარტნერს. მე თვითონ იმ წელს 2:2 ვიჭიდავე ხადარცევთან, მაშინდელი წესით, ასეთ შემთხვევაში პირველი ქულა წყვეტდა შეხვედრის ბედს, ეს ქულა ჩემს მეტოქეს ჰქონდა გაკეთებული და მსოფლიო ჩემპიონატში ის გამოიყვანეს“...

ლერი ხაბელოვს სულ სიცილ-სიცილით ვაამბობინე იმ სასცენო ნომრების შესახებ, რომელიც ბელორუსიაში, სტაიკების საწვრთნელ ბაზაზე წარმოადგინეს მოჭიდავეებმა. რაღაც საზეიმო თარიღი იყო და უფროსი მწვრთნელი ივან იარიგინი დაიმუქრა: ვინც საკონცერტო ნომერს არ მოამზადებს, ყველას შეკრებიდან გავყრიო. სახელოვანმა არსენ ფაძაევმა, მაგალითად, საბჭოთა საბაჟოზე გასვლის (ან შემოსვლის) სცენა წარმოადგინა. მაშინ, მოგეხსენებათ, საბჭოთა კანონებით, ბევრი სხვადასხვა რამის გატანა ანდა შემოტანა აკრძალული იყო. ფაძაევიც ალენ დელონის ღიმილით უცქერდა ფხიზელ საბჭოთა მესაზღვრეს და თან დაბლა ფეხით გაძეძგილ ჩანთას მიაჩოჩებდა.

მძიმე წონის მოჭიდავეებმა შეასრულეს... პატარა გედების ცეკვა ჩაიკოვსკის „გედების ტბიდან“. „ყველაზე მაგარი პროგრამა ჩვენ გვქონდა, — იხსენებს ლერი ხაბელოვი, — დათომ, მე და ხადარცევმა, ასევე ქისტმა ალიკო ბუზიკაშვილმა, რომელიც რუსეთის სახელით გამოდიოდა, „გედების ტბა“ წარმოვადგინეთ. ჩვენზე დიდი აჟიოტაჟი არავის გამოუწვევია და ნომერი საუკეთესოდ აღიარეს. ამხელა ხალხი რომ გამოვედით და გედების ცეკვა დავიწყეთ, მაყურებელი გადაირია“.

1985 წლიდან დავით გობეჯიშვილისთვის თითქოს ახალი ცხოვრება დაიწყო. დიდმა პოპულარობამ ახალი გზებიც გაუხსნა, მაგრამ მას მაინც ძველი ერჩია ყველა-

ფერს. გამარჯვების ხიბლი მისთვის იმდენად მაცდური ვერ აღმოჩნდა, მოჭიდავის გზა საბოლოოდ გაემრუდებინა, მაგრამ მან მაინც უეჭველად იქონია თავისი გავლენა.

იმ წელს ზაფხულში, ფილმში მონაწილეობის მისაღებად მიიპატიჟა მიხეილ ჭიაურელმა. ალბათ, ყველას გინახავთ „ჭიდაობას რა უნდა“, სითბოთი, კოლორიტით და იუმორით სავსე ფილმი, სადაც დათომ, ფაქტობრივად, საკუთარი თავი ითამაშა...

„მაშინ ყველას უნდოდა, რომ ფილმში მეთამაშა, მარტო მე ვიყავი წინააღმდეგი. ნერვებიც მეშლებოდა ამის გამო. საკავშირო სპორტკომიტეტიდანაც კი აიღეს ნებართვა. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ კინოში გადამიღეს.

ვარჯიშის რეჟიმს, რა თქმა უნდა, ვიცავდი, მაგრამ მაინც ბევრი გამიცდა. ხანდახან დილას მივსულვარ გადაღებაზე და საღამომდე არ დაწყებულა და ვიყავი ასე, ტყუილად. კინო, რა თქმა უნდა, საინტერესოა. სულ ერთხელ მქონდა სინჯები. მე პროფესიონალი მსახიობი ხომ არ ვარ, ჩემი ნატურა, ეტყობა, ამ როლს უხდებოდა — ბიჭი სოფლიდან, რომელიც კარგად ჭიდაობს...

მაშინ ბევრი ადამიანი გავიცანი, ცნობილი ხალხი: ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, ლიკა ქავჟარაძე, ქალბატონი ნილსკაია, სოფიკო კალანდაძე, გივი სიხარულიძე, ბევრი... შემდეგაც მქონდა შემოთავაზებები კინოდან, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ის ცხოვრება ჩემთვის მიუღებელი იყო. იმ პერიოდში ცოლიც მოვიყვანე — 86 წლის ბოლოს, მაგრამ ოჯახის შექმნა სპორტსმენს ხელს არ უშლის, ის უფრო მოწესრიგებული ხდება“...

ჭიდაობას რა უნდა

მიხეილ ჭიაურელი: „1985 წელს მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, მაშინ დათოს არ ვიცნობდი. ფილმის მთავარი გმირი, კანელიკე, ლეჩხუმელი, კაკლის მბერტყავი იყო. ნესტორ ესებუასნაირი მოჭიდავე მინდოდა: მაღალი, თხელი, დიდი კუნთების გარეშე... ლერი ხაბელოვი, ზაურ ივანიშვილი, გურამ გედეხაური, ზაზა თურმანიძე, ზაზა ბექურიშვილი, მამუკა რაზმაძე... სუყველა გავსინჯე. ახლოს ვერ მოვიდნენ როლთან.

ერთხელ ფიზკულტურის ინსტიტუტსა და სპორტკომიტეტს შორის ვდგავარ, ერთი მაღალი ბიჭი მოდის. მივედი, გამოვეცნაურე — კალათბურთელი ხარ-მეთქი? არა, მოჭიდავეო. დავეჭვდი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი აღმოჩნდა. სადაური ხარ-მეთქი? ონელი ვარო... ვახ!- მაღალი, გამხდარი, სიმპათიური, თან მსოფლიო ჩემპიონი... ყურებს არ დავუჯერე. ბაბუაჩემი არსენას რომ ეძებდა, ლამის ნახევარი თბილისი გასინჯა. დრო გადიოდა და რა ექნათ — ვიღაც დაამტკიცეს ამ როლ-

ზე. ჯერ მოსამზადებელი პერიოდი იყო, გადაღებები არ იყო დაწყებული და აგერ პლეხანოვზე, რკინიგზელთა სახლის პირდაპირ... „ჩვენი არსენა მოდისო“, — თქვა მიხეილ ჭიაურელმა. ასე გახდა სპარტაკ ბაღაშვილი არსენა და მსახიობი. ეტყობა, მე და ბაბუაჩემს ამ მხრივ ბედი გვქონია.

— ფილმში გადაგიღებ-მეთქი, — დათოს შევთავაზე. არ მცალიაო, — რაჭულად მომიჭრა. მე ჩემი გამოცდილება მაქვს მსახიობებთან მუშაობაში, ამიტომ აღარ გავაგრძელე. იქ რომ დარიგება დამეწყო, შეიძლება საერთოდ უარი ეთქვა. ისედაც ჯიუტი ჩანდა, თავისი გეგმები ჰქონდა. არც მაინცდამაინც დაინტერესებულა ჩემი შეთავაზებით.

ბაადურ წულაძე უკვე დამტკიცებული იყო როლზე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ლიკა ქავჟარაძე, სოფო კალანდაძე, გივი სიხარულიძე, მოსკოვიდან ლუდმილა ნილსკაია ჩამოვიყვანეთ, მხატვარი თამაზ ხუციშვილი იყო... და მთელი პლეადა ძველი მოჭიდავეებისა ეპიზოდურ როლებში: ნოდარ მოდებაძე, მიშა სალაძე, ავთო მაისურაძე, ზაზა თურმანიძე... ვახტანგ ბალავაძეც არის ერთ ეპიზოდში.

ისინი ყველა ერთად შევკრიბე და მათ წინ დავიბარე დათო. პავილიონი მომზადებული იყო, ცირკი „შაპიტო“ უნდა ყოფილიყო. მოკლედ, ასეთი საზოგადოება დავახვედრე — ცნობილი მსახიობები, მოჭიდავეები და უარი ვეღარ თქვა. მანამდე გურამ საღარაძე დავიხმარე — განათლებული კაცია, ხელოვნება, ლიტერატურა უყვარს...

დათოს სინჯები არც უნდოდა. ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი რომ ხარ, ეს შემთხვევით არ ხდება, ეს შენი ნიჭი სხვა სფეროშიც უნდა გქონდეს, სწავლაშიც, ადამიანებთან ერთიერთობაშიც... მარტო ვარჯიშით ვერაფერს გახდები. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დათო გამიმართლებდა.

პირველ რიგში, ის საკითხი გადავწყვიტეთ, რომ ვარჯიშში ხელი არ შეშლოდა, ისე ვგეგმავდი გადაღებას. იმ ეპიზოდებს, სადაც დათო არ იყო, მის გარეშე ვიღებდით. ასე ვარეგულირებდი ურთიერთობას დათოს მწვრთნელებთან და სპორტის ხელმძღვანელობასთან.

მოჭიდავეებთან ურთიერთობა არ მიჭირს, ეს ჩემი საძმოა. ის ჯღანაც, ბიჭიკო მარიდაშვილის აღზრდილია, მაგრამ ჩემს ხელშიცაა გაზრდილი. ატლანტის ოლიმპიადაზე გადავიღე. უწესიერესი ბიჭია, მაგრამ რაღაც შარში გახვიეს და ყბად აიღეს... სანეევზე მაქვს ფილმი გადაღებული, ქეთევან ლოსაბერიძეზე, დავით ყიფიანზე, ბორის კახიანზე, ლელა მესხზე, ფეხბურთზე... დათო გობეჯიშვილი აღმოჩნდა უაღრესად ნიჭიერი კაცი. ყველა რჩევას, დარიგებას ზუსტად ასრულებდა, ზუსტად გაიცნო თავისი გმირი. მიმართეთ ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს,

არაერთხელ უთქვამს, რა დიდი სიამოვნება მიიღო მასთან და სხვა მოჭიდავეებთან ურთიერთობით. არაჩვეულებრივი ოჯახივით ვიყავით, წყნარად ვიმუშავეთ და პრობლემა არ გვქონია“.

ოთარ მეღვინეთუხუცესი: „ჯერ მოჭიდავეებზე ვთქვათ. ყველაზე დიდ წარმატება ქართველ კაცს ჭიდაობაში აქვს მიღწეული. მერე, უნდა ითქვას, რომ ფიზიკურად ძლიერი კაცი დიდი ბედნიერებაა, — თუ სულითაც ძლიერია, სრულყოფილი გამოდის კაცი. კონსტანტინე ამბობდა, ცოდოა სულით ძლიერი, თუ ფიზიკური შეძლება არ მოჰყვებაო. დიდი მადლი ყოფილა ეს სიძლიერე. დაკვირვებული ვარ, სხვაზე ძლიერები კეთილებიც არიან.

დათოს იმ წლებში, როცა გადაღებებზე მომიწია მასთან ყოფნამ, — ამ ძალასთან, სულიერ სისუფთავესთან ერთად, გარკვეული მიამიტობაც თან სდევდა — თავისი მშვენიერი რაჭიდან ჩამოყოლილი. ერთი სიტყვით, შეიძლება მასზე თქვა, რა კარგიაო... დიდი ბედნიერება მოგვიტანა ყველას. ამხელა იყო და ერთი ზედმეტი კუნთი არ გააჩნდა, ჯირკვივით რომ არიან, მათ არ ჰგავდა, არაჩვეულებრივად აწყობილი იყო და ამ მშვენიერ სხეულში ისეთი ძალა იმალებოდა... რომ აიტაცებდა ამერიკელ ჩემპიონს, ხელს რომ დასტაცებდა... ახლაც მახსოვს. რა თქმა უნდა, დიდი ოსტატიც იყო თავისი საქმისა. მარტო ძალა არ იყო — ოსტატობაც დიდი ჰქონდა...

მაშინ სერიოზულად ემზადებოდა მსოფლიო მნიშვნელობის შეჯიბრებისათვის, გადაღებაზე ვარჯიშიდან მოდიოდა და ზოგჯერ იგვიანებდა. ერთხელ საყვედურიც წამომცდა. ერთი პატარა პასუხი არ მიმიღია ამ საყვედური გამო... ძალიან მიყვარს როგორც ქართველი ფალავანი, ქართველი ვაჟკაცი და ახლოს ვიცნობ. მერე რამდენჯერმე სუფრაზეც ერთად მოვხვდით, თამადადაც ვნახე — ისეთი საზრიანი, ჭკვიანი კაცია, შემთხვევით არ ანდეს ხელმძღვანელობა თავისი დიდი ლაშქრისა (ჭიდაობის ფედერაცია, — ავტ.).

ფიზიკურად ძლიერი, სულით სუფთა, კეთილი, ჭკვიანი, — მეტი რაღა შეიძლება დააბერტყოს ღმერთმა... ვისურვებდი, რომ მუდამ მაგალითი ყოფილიყოს სხვებისათვის, ღირს იგი საამისოდ.

დათო ძალიან სერიოზული იყო გადაღებებზე. მე არ მიყვარს, პარტნიორებს ჭკუა ვასწავლო — ამისთვის რეჟისორი საკმარისია. დათოსაც არ დასჭირვებია... ლევან თედიაშვილსაც — არც იმას გაუჭირდა (ფილმი „ხარება და გოგია“, — ავტ.). როცა ფილმში თავის თავთან ძალზე ახლოს არიან, არ უჭირთ ხოლმე, გუნებითაც, შინაგანადაც თავისუფლები არიან — უკომპლექსო ხალხია თავისი ძლიერების გამო. ეგ ბედნიერებაა, რომ ეგენი გვყავს, მით უმეტეს, მე ვისაც მოვესწარი — საოცარი, საყვარელი ხალხია. რომ გავიხსენებ გივი კარტოზიას, ამური ციმაკურიძეს,

გინდა არსენა მეკოკიშვილი ვთქვათ... სანდრო კანდელაკი ბავშვობაში მყავს ნანახი მცხეთაში — არაჩვეულებრივ შთაბეჭდილილებას ტოვებდა. არაჩვეულებრივი ვაჟკაცები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, ერთ-ერთი ასეთია დათოც, მომდევნო თაობაა. ღმერთმა ქნას, რომ მაგისთანები მრავლად იყვნენ.

ფილმზე კი ორი სიტყვითაც შეიძლება ითქვას, დრო რომ გადის და ფილმს ვუყურებ, ადრე შენიშვნები რომ მქონდა, ისინი ქრება და სიხარული რჩება. გიგა ლორთქიფანიძემ ეს ფილმი ახლაღა ნახა, — ოსტატია და მის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს, — მომილოცა, რა კარგი ფილმი ყოფილაო. მიშას კარგი ფილმი გადაუღია და კარგია, რომ დათო დათანხმდა და ერთად ვითამაშეთ. მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არა, იქ სხვებიც იყვნენ.

ფილმი მაგაზე იყო აწყობილი და ვცდილობდით, ხელი არ შეშლოდა ვარჯიშში, ხელათ ისევ თავის საქმეზე უნდა მიბრუნებულიყო. ძალიან ჩქარა გადავიღეთ ყველაფერი.

სამაგიეროდ, ფილმი დაგვრჩა... სიბერეში სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე. დათოსაც მერე ასე ექნება სახლში შვილებთან და შვილიშვილებთან...

ხანდახან ვხვდებით, — ხან ჭირია, ხან სხვა. რომ ვხვდები, მე ძალიან მიხარია. მგონი, იმასაც“...

დავით გობეჯიშვილი: „1986 წელს მსოფლიო თასის გათამაშებაში შევხვდი ბრიუს ბაუმგარტნერს ტოლიდოში. მაშინ იმდენად დაჯერებული ვიყავი გამარჯვებაში, რომ წავაგე, — 4:0 ვუგებდი ბაუმგარტნერს, რომ ჩემს ფანდზე თვითონ აღმოვჩნდი დაბლა და სუფთად წავაგე. საერთოდ, ამერიკაში მასთან ჭიდაობა ისედაც ძნელი იყო. ამხელა გზა უნდა გაგევლო, ჩასვლის მეორე დღეს კი უკვე ვჭიდაობდით. დარბაზიც გულშემატკივრებით სავსე იყო, სადაც გინდა ყოფილიყო შეჯიბრება. ჩვენ ამხანაგურ შეხვედრებსაც ვმართავდით. თავისუფალი ჭიდაობა ხომ ამერიკელების ჭიდაობაა, თავისიანებს ძალიან ქომაგობდნენ, მაგრამ ის წაგება მართლაც შემთხვევით მოხდა.

შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ორჯონიკიძეში, ფინალამდე მემარნიშვილს მოვუგე, ფინალში — ზანგიევს, იგივე მეტოქეები მყავდა და იგივე შედეგიც ვაჩვენე — მათ უკვე იოლად ვუგებდი.

მერე იყო „კეთილი ნების თამაშები“ მოსკოვში. მძიმე წონაში შეჯიბრება ყველაზე გვიან ტარდებოდა ხოლმე. მსაჯებში უკვე ისეთი განწყობა იყო, რომ არ შეიძლებოდა ყველა გამარჯვებული საბჭოთა კავშირიდან ყოფილიყო, რადგან საბჭოთა გუნდს მაშინ უკვე ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდა. ასეთ ვითარებაში წარიმართა ჩემი და ბაუმგარტნერის შეხვედრა, რომელიც 4:4 დამთავრდა. მაგრამ

მაშინ ფრეს შემთხვევაში გამარჯვებულად ის ცხადდებოდა, ვისაც ბოლო ქულა ჰქონდა აღებული. იმ ბოლო ქულით მომიგო მაშინ ბაუმგარტნერმა“...

აქ დავით გობეჯიშვილს სიტყვა უნდა შევაწყვეტინო, რადგან თვითონ, ამ სტრიქონების ავტორი, ვიყავი ამ უშელავათო შერკინების მომსწრე მოსკოვის ცნობილ უნივერსალურ სპორტკომპლექს „დრუჟბაში“, ზემოდან კუს ბაკანს რომ წააგავს. ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი: შეხვედრის შემდეგ მოსკოველი თარჯიმანი გოგო ბაუმგარტნერთან ლამის მივარბენინე ინტერვიუსთვის. ტურნირის ჩემპიონს იქვე, საჭიდაო სარბიელთან უკვე შემოხვეოდნენ ჩემი კოლეგები. „აი, ასეთი მუხლების პატრონი არ უნდა ჭიდაობდეს“, — გულღიაობდა აშკარად გახალისებული გამარჯვებული და მუხლებს გვაჩვენებდა. ცოტა ძნელი სანახავი იყო, — კვირისთავები აქეთ-იქით ისე გააქნია, რომ ფოსოებიდან ამოვარდნენ და მერე ისევ დაბრუნდნენ ადგილზე. „ამას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ მე ისევ ვჭიდაობ“, — გვითხრა დიდმა ჩემპიონმა, რომლის სპორტულ შემართებაზე არაერთხელ დაწერილა.

მეც, აბა, რას ვკითხავდი, — ყველაზე ძლიერი მეტოქე კარიერაში ვინ შეგხვედრია-მეთქი. მიხვდებით, ცხადია, საითკენ მიმყავდა იმ უძნელეს ბრძოლაში გამარჯვებული. მაგრამ ბრწყინვალე სმენა ჰქონია ასევე ბრწყინვალე მოჭიდავეს და შემდეგ სპეციალისტს, აშშ-ს ნაკრების სახელოვან უფროს მწვრთნელს დან გეიბლს. ინტერვიუს ადგილიდან კარგა შორს იყო წასული, მაგრამ ეს კითხვა მაინც გაიგონა და იქიდან თითის აწევით იყვირა – ხასიმიკოვ! გეიბლი, თუ მხოლოდ ბაუმგარტნერისა და გობეჯიშვილის ურთიერთშეხვედრებით ვიმსჯელებთ, იმ დროს, ალბათ, მართალი იყო, მაგრამ ხასიმიკოვმა მაშინ დაანება ჭიდაობას თავი, როცა ბაუმგარტნერის აღმასვლა დაიწყო. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ამ ჩვენმა დათომაც ამერიკელებს არ შეარგო ხასიმიკოვის ჭიდაობიდან წასვლით გამოწვეული შვება და ბაუმგარტნერს 1985 წელსაც არ აღირსა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი.

ისევ დავით გობეჯიშვილს მოვუსმინოთ: „1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც ისე იყო, როგორც „კეთილი ნების თამაშებზე“, — მსაჯებმა კინაღამ შემჭამეს. თანაც მოსკოვის ტურნირზე ორი ნეკნი მქონდა გატეხილი, მაგრამ არ ვამხელდი, — გუნდიდან ამომაგდებდნენ.

ასე მტკივანი ნეკნებით, მაგრამ მაინც კარგად გავიარე გზა ფინალამდე. ისევ ბუდაპეშტში ვჭიდაობდი, რადგან წინა წელს ჩემპიონატი სხვაგან უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა.

ფინალში ბაუმგარტნერთან ქულა-ქულაზე მიდიოდა ჭიდაობა. როცა მე უნდა გავსულიყავი წინ 3-4 ქულით, მსაჯები საშუალებას არ მაძლევდნენ. იმ შეხვედრის ვიდეომასალა მაქვს, შეგიძლიათ ნახოთ. იმ წაგების შემდეგ იმდენად გულგატეხი-

ალექსანდრე (შურა) მაისურაძე: „დათოს მშობლიურ სოფელ ხურუთში მხოლოდ ორწლიანი სკოლა ჰქონდათ და მესამე კლასიდან შოუბნის რვაწლიან სკოლაში სწავლობდა. ფიზკულტურის მასწავლებელმა დიმიტრი ბერიშვილმა მითხრა, შენთან კოლია გობეჯიშვილის შვილი მოვა ხურუთიდან, ტანმაღალია და შეიძლება მამასავით დიდი გაიზარდოს, მძიმე წონაში გამოგადგებაო. თავის ასაკთან შედარებით მართლაც ტანმაღალი იყო, გამხდარი... სპორტში ასეთები უფრო გამოდგებიან, ვიდრე ჩაპუტკუნებულები.“









1986 წელს, კეთილი ნების თამაშებზე დავით გობეჯიშვილს ასისტენტობას უწევდა ლეგენდარული ფალავანი ივან იარიგინი

ლი ვიყავი, რომ ვფიქრობდი, საერთოდ დამენებებინა ჭიდაობისთვის თავი. იარიგინმა დამამშვიდა“...

თუმცა სპციალისტები იმასაც ამბობენ, რომ მეორე ბუდაპეშტისთვისაც დათო გობეჯიშვილი ისევე კარგად მომზადებულიყო, როგორც წინა წელს, არც ბაუმგარტნერი და არც მსაჯები მისთვის არავითარი დაბრკოლება არ იქნებოდა.

გურამ საღარაძე: „იმ პერიოდში მეც ვამჩნევდი, რომ რაღაც აპათია გაუჩნდა, ნიკოლოზმაც მითხრა, იქნებ დავანებებინოთ ჭიდაობას თავი, დაიღალა ბავშვიო. დათოს, მართლაც, თითქოს მობეზრდა ყველაფერი, თვითმფრინავში ჯდომაც ძალიან არ უყვარდა... რეჟიმიც ცოტა აერია, ვარჯიშობდა, მაგრამ ისეთი მონდომებული აღარ იყო. მაგრამ მამამისს მაინც ვუთხარი, ახლა იგი გაფურჩქვნის პერიოდშია, ყველაფერი გაუვლის და დიდ წარმატებებს კვლავ მოიპოვებს-მეთქი, ასე დავარწმუნე. ჩვენ მაშინ უკვე ძალიან დაახლოებულები ვიყავით, მომავალ მეუღლეს რომ პირველი წერილი მისწერა ბოჯომში, ის წერილი ერთად შევადგინეთ“...

1987 წელს დათოს მთლიანად გადაჰყვა წინა წელს დაგროვილი ტვირთი: რვა თვის მანძილზე კინოში გადაღება, არც ნორმალური ვარჯიში, არც დასვენება, მოულოდნელი მარცხი ბაუმგარტნერთან და გულგატეხილობა... ზოგჯერ მაგიდასთან თამაშის აზარტსაც ზედმეტად გაუტაცია და დაძრულა მწვრთნელთა და მეგობართა რჩევების ნაკადი... 1987 წელი, შეიძლება ითქვას, ჩაუვარდა, მაგრამ ეს წელიწადი მისთვის მაინც ძალიან გამორჩეული იყო — პირველი შვილი, სოფიკო შეეძინა და შემოდგომაზე, ასე ვთქვათ, მამის რანგში გაემგზავრა მსოფლიო თასის გათამაშებაზე, რომელსაც ტრადიციული მასპინძელი ქალაქიდან — ტოლიდოდან მონღოლეთში გადაენაცვლებინა. იქ ბაუმგარტნერი აღარ დახვდა, მის მაგივრად ამერიკელებს ერიკსონი გამოეგზავნათ, რომელსაც გობეჯიშვილმა დამაჯერებლად აჯობა და სხვა დანარჩენებსაც, მაგრამ სპორტული სეზონის მაჟორულმა ფინალმა მთელი წლის არც ისე იმედიანი მდინარება ვეღარ შეცვალა.

იმ დროს ტაშკენტელი ასლან ხადარცევი 100 კილოგრამ წონაში ლერი ხაბელოვს უკვე ვეღარ უგებდა და 1987 წლიდან მძიმეში ცდიდა ბედს. გობეჯიშვილის თქმით, ის იყო უნივერსალური მოჭიდავე, რომელსაც ყველა თვისება ჰქონდა, რაც შეიძლება ფალავანს გააჩნდეს და შესანიშნავი ადამიანიც გახლდათ. მეგობრობდნენ კიდეც, მაგრამ ძალიან მწვავე მეტოქეობა ჰქონდათ. „ხალიჩამ, საერთოდ, სპორტულმა სარბიელმა, მეგობრობა არ იცის. გაიხსენეთ ტყუპი ძმები ბელოგლაზოვები, ერთმანეთს პირდაპირ ხოცავდნენ ლეიბზე, მერე კი ისევ ძმები იყვნენ. სპორტში ყველაფერი ნამდვილი უნდა იყოს, სიყალბე არ შეიძლება“, — მიხსნის საკუთარ თვალსაზრისს დავით გობეჯიშვილი.

1987 წლის დასაწყისში, თბილისის ტურნირზე უკვე გამოჩნდა შავი ღრუბლები: ორი წლით უფროსმა ხადარცევმა მასპინძელს საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ მოუგო, მაგრამ გობეჯიშვილი, რომელიც ტაშკენტელის ჭიდაობას უკვე იცნობდა, დარწმუნებული იყო, რომ მას მოაგებინეს, — იმ შეხვედრაში ოთარ კვანტრიშვილი მსაჯობდა და ხადარცევს მიუდგაო, რაც, სიმართლე უნდა ითქვას, არ იყო გასაკვირი. მაგრამ შემდეგ ვორონეჟში საკავშირო ჩემპიონატში სახელოვანმა ტაშკენტელმა ოსმა უკვე მსაჯების დახმარების გარეშე აჯობა ყველას, მათ შორის გობეჯიშვილსაც და რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლის საკითხიც იქ წყდებოდა, ნაკრებ გუნდში მძიმე წონაში ადგილი ასლან ხადარცევმა დაიკავა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ წელს იგი ღირსეულად ჩაენაცვლა ჩვენს ფალავანს: მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრიუს ბაუმგარტნერს მოუგო და სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა (აქვე ვიტყვით, რომ უფრო შორს წავიდა მისი ძმა მახარბეკ ხადარცევი, რომელიც საბოლოოდ ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა 90 კგ წონაში).

და ეს ყველაფერი მოხდა სეულის ოლიმპიადის წინა წელს, რომელიც პირველი ოლიმპიადა უნდა გამხდარიყო დათო გობეჯიშვილისათვის. ამ არახელსაყრელ მდგომარეობას ისიც კარგად გრძნობდა და მისი მწვრთნელიც, და 24 წლის გობეჯიშვილმა უკვე შემოდგომიდან „ახალგაზრდობა გაიხსენა“ და ძველებურად დაიწყო ვარჯიში. მაგრამ ოლიმპიური წლის პირველ შეჯიბრებაზე, იანვრის ბოლოს, თბილისის ტურნირში არც ბაუმგარტნერი გამოსულა და არც ხადარცევი. ჩვენ მოჭიდავესაც ახალი არგუმენტების დაგროვება დასჭირდა. თბილისში წარმატების შემდეგ დათო ამერიკაში გაგზავნეს მსოფლიო თასზე და ისევ ტოლიდოში, ისევ დაამარცხა ბრიუს ბაუმგარტნერი — 11:6. ყურადღება მიაქციეთ ანგარიშს, რა დინამიური ჭიდილი უნდა ყოფილიყო ამ ორ გიგანტს შორის. ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება კი ხადარცევს მიანიჭეს, სადაც გაიმარჯვა კიდეც. ეს იყო მისი ერთადერთი წარმატება იმ წელიწადს.

ზაფხულში კრასნოიარსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უნდა გამართულიყო, თითქოსდა გადამწყვეტი შეჯიბრება ოლიმპიური ნაკრების დასაკომპლექტებლად. ხადარცევმა და მისმა მფარველებმა, უეჭველია, კარგად იანგარიშეს მისი ბოლოდროინდელი მიღწევები და მსოფლიო ჩემპიონმა აშკარად აარიდა თავი გობეჯიშვილთან ჭიდაობას, აწონვაზე გამოცხადდა, მაგრამ შემდეგ რაღაც მოიმიზეზა და ჩემპიონატიდან მოხსნა ითხოვა. საკვირველი არ არის, რომ მას თხოვნა შეუსრულეს კიდეც. ისე, იქ მოსახსნელი თუ ვინმე იყო, ისევ გობეჯიშვილი, რომელიც სიცხიანი ჭიდაობდა. მაშინ მან მესამედ გაიმარჯვა სსრკ ჩემპიონატში, თანაც საკმაოდ იოლად, ფინალში კი ზაზა თურმანიძეს მოუგო — 3:1 (შეიძლება ზოგმა

სხვაგვარად იფიქროს, მაგრამ ეს ჭეშმარიტად პატიოსანი შერკინება იყო). თურმე ამაოდ დამშვრალა... იმ პერიოდში ასეთი პრინციპი იყო ჭიდაობაში: თუ მოიგებდი თბილისის ტურნირს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს და ერთ-ერთ საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირზე — ევროპის ჩემპიონატში ან მსოფლიო თასის გათამაშებაში ისახელებდი თავს, წლის მთავარ შეჯიბრებაში მონაწილეობა გარანტირებული გქონდა. დათოს ყველა ეს პირობა ჰქონდა ასრულებული, მაგრამ ხადარცევსა და მისი მხარდამჭერი გუნდის მანევრის გამო, ქართველი მოჭიდავე სეულის მიღმა რჩებოდა — წინა წლის შედეგები ჩათვალეს მთავარ არგუმენტებად.

ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანის ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ დავით გობეჯიშვილს საკონტროლო, გადამწყვეტი შერკინების უფლება მიეღო. მისი თქმით, წესით, ის თვითონ არ უნდა დათანხმებულიყო ამაზე და ასლან ხადარცევს უნდა მოეთხოვა საკონტროლო შეხვედრა. მაგრამ პირიქით მოხდა. სამთავრობო დონეზე გადაწყდა ყველაფერი, ცეკას მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ოფიციალურად მოითხოვა, რომ ქართველი მოჭიდავე არ დაეჩაგრათ. საქმეში თვით საქართველოს გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძეც ჩაურევიათ, რადგან იარიგინის აღმზრდელის, საკავშირო ნაკრების მწვრთნელის დიმიტრი მინდიაშვილის შვილი პროკურატურაში მუშაობდა კადრების სამმართველოს უფროსად... კისლოვოდსკში, სადაც ეს უმაგალითო შერკინება გაიმართა, ორივე მხრიდან უამრავი გულშემატკივარი ჩავიდა, ოსებიც ბევრნი იყვნენ და ქართველებიც, მით უმეტეს, რომ იმ მხარეში ბევრი რაჭველი ცხოვრობს და რა დაგიმალოთ, იქაური ქართული ლავაშის გემო ახლაც მახსოვს.

ჭიდაობის ძველ მოყვარულებს, ალბათ, ემახსოვრებათ იმ უმაგალითო 31-წუთიანი შეხვედრის ამბავი კისლოვოდსკის მაღლა, ოლიმპიური ბაზის ხალიჩაზე: ჯერ 6-წუთიანი ძირითადი დრო, მერე კიდევ სამი დამატებითი სამწუთიანი პერიოდი; მერე მცირე შესვენება და იგივე სერია — სულ 30 წუთი და არც ერთი ქულა!..

„პირველი ქულა პირველივე სამწუთიანში გავაკეთე, მაგრამ არ მომცეს. ამ ნახევარ საათში სულ ოთხჯერ გავაკეთე თითო ქულა, მაგრამ არც ერთი არ ჩამითვალეს. ივან იარიგინი ხადარცევს უჭერდა მხარს. მეოთხედ რომ არ მომცეს ქულა, პროტესტი გამოვთქვი, აღარ ვიჭიდავებ-მეთქი. მომვარდა ჯიმი მიქელაძე, ჩვენი „დინამოს“ უფროსი, გენერლის ფორმაში იყო: — იჭიდავე, თორემ დაგაპატიმრებო. გავაგრძელე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ რადგან ამდენი ქულა არ ჩამითვალეს, თან ასეთი დონის მოჭიდავესთან, ალბათ, დადგება დრო და მას მისცემენ ქულას და წავაგებ-მეთქი. მაგრამ ბოლოს ისეთი ქულა გავაკეთე, რომ იმის არმოცემა შეუძლებელი იყო და შეხვედრა გააჩერეს.

დავით გობეჯიშვილი
და გივი კარტოზია

დიდი მოლოცვები იყო, ასლან ხადარცევმაც მომილოცა. იმ დღეს ოფიციალურად გამოცხადდა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა. მაშინ აგვისტო იყო, ოლიმპიადა კი ოქტომბერში უნდა გამართულიყო“...

ლერი ხაბელოვის თქმით: „ხადარცევს 1988 წლისათვის დიდი ჰანდიკაპი ჰქონდა ყველა კონკურენტთან, ამიტომ გამოტოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და კიდევ რამდენიმე შეჯიბრება. მაგრამ სპორტი არაფერს გაპატიებს, — ამდენს რომ გამოტოვებ, რაღაც აუცილებლად გაკლდება და ხადარცევსაც ეს დაემართა. დათოსაც სრული პრეტენზია ჰქონდა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე და უფრო კარგად გამოიყურებოდა. კისლოვოდსკში შეხვედრის დროს დიდი ილეთები არ გაკეთებულა, მაგრამ გობეჯიშვილი სამართლიანად გაემგზავრა სეულის ოლიმპიადაზე“.

ლადო მესტვირიშვილი: „სეულის ამბები? მანამდე, 1987 წელს ასლან ხადარცევმა ორჯერ მოუგო გობეჯიშვილს, მაგრამ შემდეგ კრასნოიარსკის საკავშირო ჩემპიონატი გამოტოვა და ჩვენ შანსი გაგვიჩნდა.

კრასნოიარსკში დიდი შეკრების წინ დინამოელები შემოვირბინე და ყველას მხარდაჭერა ვთხოვე. კრებაზე დიდი კამათი გაიმართა. ხადარცევის მომხრეები საკითხს გარკვეულად თვლიდნენ, გუნდის უფროსი მწვრთნელი ივან იარიგინიც უფრო მათ მხარეს იყო. დიმიტრი მინდიაშვილსაც ოფიციალურად არაფერი უთქვამს. შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი და დინამოელი იყო. სულ ბოლოს მე გამოვედი სიტყვით და ჩემი წინადადება გავიდა, რომ კისლოვოდსკში საკონტროლო შეხვედრა დაენიშნათ. იარიგინს ჩავაცივდი, თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდა-მეთქი? კიდევ 3 წუთს დავამატებთო. თუ ისევ ფრე იყო? — მაინც არ მოვეშვი. ზოგს გაეცინა, მაგრამ მე არ მეხუმრებოდა. რა ტვინი წაიღე შენი ფრეებით, იქამდე იჭიდავებენ, ვიდრე ვინმე არ მოიგებსო, — მომახალა ივანმა. მოვითხოვე, ეს ოქმში ჩაეწერათ, რომ ვინც მოიგებდა, თუნდაც ერთი ქულით, ის იქნებოდა მათ დავაში გამარჯვებული. ჩაწერეს კიდეც.

ჭიდაობაში სახელმწიფო მწვრთნელმაც, გენადი საპუნოვმაც, ხელი ჩაიქნია — ჯანდაბამდე გზა გქონიათო, წმინდა რუსული ფორმით გამოხატა ეს. მერე, დათოს ამბავი რომ გადაწყდა, ბოლმიანად დამემუქრა: თუ ოლიმპიადაზე წააგოო... სეულში რომ მოიგო დათომ, საპუნოვმა ჩანთას ხელის დასტაცა და გარბოდა. ძველი გაბრაზება მახსოვდა, მაგრამ არ გამოვკიდებივარ, აღარ ღირდა.

კისლოვოდსკში ივან იარიგინი კვლავ წარბშეკრული იყო — რა ვიცი, აქ ისეთი ხალხი ჩამოვიდა ოსეთიდანო. ცეკას ხალხი ჩამოდიოდა ორჯონიკიძიდან. ხადარცევი უზბეკეთის სახელით გამოდიოდა, მაგრამ ოსები ამაში გვჯობდნენ, რამდენი ასეთი ქართველია სხვაგან დავიწყებული.

ლევან თედიაშვილი რომ ჩამოვიდეს? — მომივიდა აზრად. ლევანი რომ ჩამოვიდეს, აქ ბევრი რამ შეიცვლებაო, — მითხრა ივანმა. მაშინვე დავურეკე ლევანს და ისიც ჩამოვიდა საქართველოს „დინამოს“ ხელმძღვანელ, გენერალ ჯიმი მიქელაძესთან ერთად. თედიაშვილის ჩამოსვლამ კისლოვოდსკში მართლაც დიდი როლი ითამაშა (აქვეა სათქმელი, რომ ლევან თედიაშვილმა, თბილისის სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, მანამდე კრასნოიარსკშიც ჩააკითხა გობეჯიშვილს და იქაც ძალიან ქომაგობდა მას. კისლოვოდსკშიც, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში აპირებდა ჩასვლას, მით უმეტეს, რომ ცნობილი იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელების განწყობაც, — ავტ.).

31 წუთი იჭიდავეს, გაუგონარი ამბავი იყო. ასე დიდხანს ჭიდაობის არც ეშინოდათ ხადარცევის მომხრეებს, აშკარად ეგონათ, დათო ვერ გაუძლებდა და კიდეც ამიტომ დაგვთანხმდნენ. გობეჯიშვილს ორჯერ ქულა არ მისცეს და კინაღამ დარბაზიდან გაგვექცა ეს წყნარი ბიჭი, ორჯერვე ძლივს შემოვაბრუნეთ... ეს მისი გარემოცვა აქტიურობდა ზედმეტად, თორემ თვითონ ასლან ხადარცევი გადასარევი ბიჭი იყო, როცა ნაკრების სახელით დათო გამოდიოდა, ხადარცევი შეკრებაზე იყო და გობეჯიშვილს მომზადებაში ეხმარებოდა. ძალიან კარგი მოჭიდავე იყო და ძალიან კარგი ადამიანი“...

კისლოვოდსკის ამბებს ამდენი ადგილი იმიტომ დავუთმე, რომ დავით გობეჯიშვილის ოლიმპიური ჩემპიონობა, როგორც შემდეგ გაირკვა, კისლოვოდსკში გადაწყდა და არა სამხრეთ კორეაში. „დათო სეულში ისეთ ფორმაში იყო, მუხას მოგლეჯდა, — ამბობდა მაშინ ლადო მესტვირიშვილი, — მაგრამ ოლიმპიადა ოლიმპიადაა და ათასი რამე ხდება. თვითონ დათოს კი სეულში ეჭვიც არ ეპარებოდა თავის გამარჯვებაში“.

ოლიმპიური სიზმარი

სეულში თავისუფალი სტილის მძიმე წონის მოჭიდავეთა ტურნირი სპორტული შეჯიბრება კი არა, უფრო დავით გობეჯიშვილის მეორე ბენეფისი გამოდგა, რომელმაც ისევ დაამტკიცა, რომ იგი სათანადოდ იყო მომზადებული და ოქროს მედალზე აღარავის უნდა ეფიქრა. სრულებით არ ვაჭარბებ, უბრალო არითმეტიკითაც შეიძლება ამის დამტკიცება: პირველ შეხვედრაში სირიელ მოჭიდავეს 17:0 მოუგო (მაშინ სუფთა გამარჯვებად 15-ქულიანი სხვაობაც ითვლებოდა), მერე იაპონელს მისდგა და წუთ-ნახევარში წმინდად დაამარცხა; მესამე შეხვედრაში გერმანელი მეტოქე პასიურობისთვის მაშინ მოხსნეს, როცა დათო 10:0 იგებდა; შემდეგ

შეხვედრა სეულის ოლიმპიადის შემდეგ: დათო, ირმა და პატარა სოფიკო. თბილისის აეროპორტი, 1988 წელი.

ათანასოვსაც გაახსენა ძველი ანგარიში — 8:0. მეხუთე, ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ასევე მშრალზე დატოვა უნგრელი ლასლო კლაუზი — 11:0, და ოლიმპიური გზა ისევ ბაუმგარტნერის ძლევით (3:1) დაასრულა. თუ გაცამტვერებულ იაპონელს არ ჩავთვლით, ჩვენმა ფალავანმა დანარჩენ ხუთ შეხვედრაში 48 ქულა დააგროვა. ჭიდაობის ყველა მცოდნე დამეთანხმება: ეს მძიმე წონის მოჭიდავისათვის ძალიან უჩვეულო ამბავია, ამას პატარა წონის დიდი ფალავნებიც ინატრებდნენ, მით უმეტეს, რომ დათომ მხოლოდ ერთადერთი ქულა დათმო სეულში. თუმცა სჯობია, ოლიმპიურ ჩემპიონს მოვუსმინოთ:

„ოლიმპიადა ყველა შეჯიბრებისგან განსხვავდება. მართალია, მეტოქეები იგივეა, მაგრამ ემოციურად არის ძალიან დიდი განსხვავება. ოლიმპიური თამაშები სპორტში უმაღლესი ტურნირია, ამიტომ მიაქვს ყველაზე მეტი ენერგია და ნერვები... ოლიმპიურ სოფელში 10 ათასი ადამიანი ცხოვრობს ამდენი ქვეყნიდან, სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები და სულ სხვა ატმოსფეროა. განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო, რომ ამ დატვირთვას გაუძლო.

როცა მე ბაუმგარტნერთან ფინალში ვჭიდაობდი, იქ მთელი საბჭოთა სპორტის ელიტა მოვიდა: საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები... საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი ნუგზარ ენდელაძეც იყო. ყველა



ხელმძღვანელი ესწრებოდა ჭიდაობას მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ დროს ფეხბურთშიც ფინალი მიმდინარეობდა, რომელშიც საბჭოთა კავშირის გუნდი და გელა კეტაშვილიც მონაწილეობდა. ვიდრე ხალიჩაზე გავიდოდი, უფროსებმა დამიძახეს. მაშინ მოსმენის თავი არ მქონდა, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი საუბარი იყო: ჩვენ ყველა წონას გვირჩევნია, მძიმე წონაში გვყავდეს ოლიმპიური ჩემპიონიო. პირისპირ ასე მითხრეს. აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მძიმე წონა ყველაზე პრესტიჟულია.

სეულში სხვა სპორტის საყურებლად ვერ დავდიოდი, — ჩვენი ფინალის შემდეგ მეორე დღეს ოლიმპიადა დაიხურა. ჯერ ფინალში არ ვიყავი გასული, ერთი შეხვედრა კიდევ მქონდა, რომ მძინავს და მესიზმრება: ოლიმპიური ოქროს მედალი მიკავია ხელში. ვიღვიძებ და ვახელ თვალებს და ისევ ოლიმპიურ მედალს ვხედავ — პირდაპირ სახესთან მიკიდია. თურმე ვალოდია აფციაური ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარა, როცა მეძინა, სწორედ იმ დროს შემოსულა ჩემი და ხაბელოვის ოთახში და ოლიმპიურ მედალს სახესთან მიტრიალებს. ის გვიან დაბრუნდა სასტუმროში და ჯერ ვერაფერს მივხვდი, რა ხდება-მეთქი, მერე მივულოცე.

ფინალში ბაუმგარტნერთან პირველ პერიოდში ჯერ ერთი ქულა ავიღე, მეორე პერიოდშიც კიდევ ერთი. რამდენჯერმე სცადა ჩემი დატრიალება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შეხვედრის დამთავრებას 17 წამი აკლდა, უკვე 3:0 ვიყავი წინ.

მაშინ ხალიჩიდან ხელი დავუქნიე ყველას, საქმე კარგადაა-მეთქი. 4 წამი რომ დარჩა, როცა ყველაფერი გარკვეული იყო, ერთი ქულა დავუთმე (სეულამდე ურთიერთშეხვედრებში ბაუმგარტნერი იყო წინ – 4:3. – ავტ.).

მერე ოქროს რეისით წამოვედით სეულიდან მოსკოვში — თვითმფრინავში მარტო ჩემპიონები ვიყავით და, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელები და მწვრთნელები. თვითმფრინავში სმა და ქეიფი იყო, მე არ ვსვამდი. ვარჯიშს რომ დავანებე თავი, სმა მერე დავიწყე, მგონი, ძალიან შევეჩვიე.

მაშინ მოსკოვში მიღება არ გვქონდა, მოგვიანებით კრემლში ძალიან თბილად მიგვიღო გორბაჩოვმა. საქართველოში კი ბევრი ხალხი დაგვხვდა: იყო მილოცვები, ცალ-ცალკე სუფრების გაშლა... სეულში ქართველმა სპორტსმენებმა მართლაც კარგი შედეგები ვაჩვენეთ: მე, ნინო სალუქვაძე, ვალოდია აფციაური, ლადო გოგოლაძე და გელა კეტაშვილი ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით, ლერი ხაბელოვმა და ნინომ ვერცხლის მედლები აიღეს, გია თენაძემ, ამირან ტოტიკაშვილმა და მაია აზარაშვილმა — ბრიჯაოსი... ჯუმბერ პატიაშვილმა ჩვენს მშობლებთან ერთად მიგვიღო და დიდი მადლობა გადაგვიხადა.

მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, 2004 წელს როგორი განუმეორებელი შეხვედრა მოუწყო ჩვენს ოლიმპიელებს საქართველომ და მისმა პრეზიდენტმა. პრეზიდენტები ჩადიან ოლიმპიადების გახსნაზე და დახურვაზე, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი რამდენიმე დღით ადრე ჩადის ოლიმპიადაზე და უკან სპორტულ დელეგაციასთან ერთად ბრუნდება. მაშინ გული დამწყდა, რომ იმ დროს არ ვიყავი ოლიმპიური ჩემპიონი".

1989 წელს თვითონ დავით გობეჯიშვილი თავის კარიერაში ყველაზე უნაყოფოს უწოდებს. ეტყობა, რომ დიდი წარმატებების შემდეგ, ერთის მხრივ, გარემო პირობების და კიდევ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მას მაინც შინაგანად როგორღაც უნდა გადაეხარშა მორიგი გამარჯვება, ვიდრე ახალსა და ისევ დიდ აღმართს შეუდგებოდა. „89-ში ისევ დატრიალდა ძველი კარუსელი: აქ წადი, იქ წადი და ისევ ვარსკვლავური ავადმყოფობა, — იხსენებს ლადო მესტვირიშვილი, — იმ წელს საბჭოთა კავშირის თასი უიმისოდაც მოვიგეთ, რის გამოც, რუსეთის ნაკრების მთელი ხელმძღვანელობა დახსნეს. დათო არ იყო ფორმაში, მაგრამ მაინც წამოგვყვა ლიპეცკში და ბიჭებს ეხმარებოდა, სეკუნდატობასაც უწევდა".

1989 წელს დავით გობეჯიშვილმა მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში: ფინალში ისევ ხადარცევს შეხვდა, ვერც ერთმა ქულის აღებაც ვერ მოახერხა და ორივეს წაგება ჩაუთვალეს. შემდეგ მინსკში საკონტროლო შეხვედრა მოუწყვეს და ისიც 0:0 დასრულდა. მაგრამ ასლან

ხადარცევს ერთგვარი კომპენსაცია არგუნეს ოლიმპიური წლის გამო, — მსოფლიო ჩემპიონატზე, შვეიცარიაში ის წაიყვანეს. იარიგინმა მაშინაც მისი მხარე დაიჭირა. სულ ტყუილად: ხადარცევს მსოფლიო ფორუმზე ძველი, შეუპოვარი მეტოქე და ახალი სიურპრიზი დახვდა — ბაუმგარტნერთან ფინალამდე წააგო და მესამე ადგილზე დარჩა, მაგრამ ვეღარც ამერიკელმა შეძლო მეორედ მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონობა, ფინალში დამარცხდა ირანელ სულეიმანთან.

იმ წელს საქართველოში ჯერ კიდევ იყო კარგი სავარჯიშო პირობები, დათოსაც თითქოს მონდომება ისევ ეტყობოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მას განტვირთვის წელიწადი გამოუვიდა.

სამაგიეროდ, უფრო მომზადებული შეხვდა შემდეგ სეზონს, უფრო მეტი სიბეჯითე გამოიჩინა ვარჯიშებზე. ახალ წელს, ზედიზედ მეოთხედ, ლერისთან ერთად, აშშ-ში შეხვდა: ისევ ტრადიციული მატჩები ამერიკელებთან და ისევ ბაუმგარტნერი... იანვრის ბოლოს ისევ გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ ულან-უდეში, საკავშირო ჩემპიონატში მოვლენები ცოტა უცნაურად განვითარდა. შეჯიბრებამდე ტრაგიკულად, ავტოკატასტროფაში დაიღუპა გობეჯიშვილის მთავარი მეტოქე ასლან ხადარცევი და დათოს გამარჯვება უეჭველი ჩანდა. მაგრამ ჯერ საქმეში ჩაერია საბჭოთა სპეციალისტის ონოპკოს სისტემა, შემდეგ კი თვითონ ფავორიტის განწყობა. იმ ონოპკოს თურმე დისერტაცია დაუწერია ამ სისტემაზე და მის პრაქტიკაში რეალიზაციას სწორედ მაშინ ახდენდა: თითქმის ყველა უძლიერესი მოჭიდავე ერთ ჯგუფში შეყარეს, სხვები მეორეში და თითოეულიდან ორ-ორი საუკეთესო ე. წ. ჯვარედინი დაწყვილებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ფინალში გასასვლელად. ქართველებიდან თითქმის ყველა ერთ ჯგუფში მოხვდა და გობეჯიშვილმა მოუგო თურმანიძეს, თუმცა შემდეგ ეტაპზე ორივე გავიდა. მეორე ჯგუფიდან კი ლეგენდარულ ალექსანდრ მედვედის ვაჟს შეხვდა, რომელსაც მისთვის სერიოზული წინააღმდეგობა არასდროს გაუწევია. 1990 წელსაც ბელორუსი მეტოქე არად ჩააგდო და... დამარცხდა. წაგება წაგებაა და ოლიმპიურ ჩემპიონს საქმე ძალიან გაურთულდა. კიდევ კარგი, ფინალში თურმანიძემ მოუგო მედვედს, თორემ ბელორუსის მომხრეებს რა გააჩერებდა.

თუმცა მანამდე უფროსმა მედვედმა გობეჯიშვილი თითქოს დაამშვიდა, — „კეთილი ნების თამაშებზე“, სიეტლში, მაინც შენ გაგიშვებთო, მაგრამ გულში უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონია სამგზის ოლიმპიურ და 7-გზის მსოფლიო ჩემპიონს... დავით გობეჯიშვილი მართლაც წაიყვანეს სიეტლში. კვლავ განმეორდა „ამერიკული ტრაგედია“: სავსე დარბაზი, დიდი ქომაგობა და ბაუმგარტნერის დამარცხება (3:1). გობეჯიშვილის ტიტულებს კი „კეთილი ნების თამაშების“ ჩემპიონის წოდებაც შეემატა.



დავით გობეჯიშვილი: „ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო, მე ხუთჯერ მაინც უნდა გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ მე იმ აზრის მომხრე ვარ, რომ, როცა ადამიანი იბადება, იმას თავისი იღბალი დაჰყვება თან. მეც ასე მეწერა, ალბათ — ერთხელ ოლიმპიური და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი — ბოლოს მაინც ამით ვიმშვიდებთ თავს. ისე, ხუთი წუთით ადრე წასვლა სჯობია ხუთი წუთით გვიან წასვლას.“

ბევრჯერ ვახსენე, სპორტსმენი გობეჯიშვილი დამჯერი კაცი იყო-მეთქი, მაგრამ მას საკუთარი ჭკუაც საკმარისი ჰქონდა. პირველად მაშინ არ დაუჯერა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს, რომელმაც ურჩია, გუნდის შეკრებაზე, კისლოვოდსკში არ ჩამოხვიდე, დაისვენეო. თბილისიდან საკუთარი მანქანით ჩავიდა კისლოვოდსკში. გუმანმა არ უმტყუნა, მსოფლიო ჩემპიონატზე მისი წაყვანა არ უნდოდათ. გობეჯიშვილს ამის დაჯერება გაუჭირდა: თუ პირად რეიტინგზე მიდგებოდა საქმე, ყველაზე წინ იყო, თუ სსრკ ჩემპიონატის შედეგებზე — მაშინ თურმანიძეს ჰქონდა უპირატესობა და არა მედვედს. ბოლოს და ბოლოს, მაინც დანიშნეს საკონტროლო შეხვედრა, დათო კი კვლავ შესანიშნავ ფორმაში იყო და მედვედი თავის ადგილზე დააბრუნა — 6:0 (შემდეგ ერთი სპარინგ-შეხვედრაც მოუგო).

ამ შეჯიბრების შემდეგ მაინც გაიმართა მწვრთნელთა საბჭოს შეკრება. უმცროსმა მედვედმა 22-დან მხოლოდ ორი ხმა მიიღო — მამამისის და მისი მეგობრის.

ორგზის ჩემპიონი

ლადო მესტვირიშვილი: „1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ზუსტად იგივე მოხდა, რაც ხუთი წლით ადრე ბუდაპეშტში და შემდეგ სეულში, ოლიმპიადაზე: მისი ძირითადი მეტოქე ისევ კარგად იყო მომზადებული, მაგრამ დათო უფრო უკეთესად...

დავით გობეჯიშვილი საკუთარ ძალებში დაჯერებული მოჭიდავე იყო, მაგრამ ეს არ იყო ზერელე თვითდაჯერება... იმათ შორის, ვინც კი მაშინ გამოდიოდა მძიმე წონაში, დათოს თავისი განსაკუთრებული ხელწერა ჰქონდა: ზედმეტ მოძრაობას არ გააკეთებდა, ენერგიას ტყუილად არ დახარჯავდა. ხალიჩაზე ილეთს აკეთებდა თითქმის გარანტირებულად, თუმცა 100-პროცენტიანი გარანტია არავის აქვს. თითქმის ყოველთვის ჰქონდა შედეგი. ყველაფერი თანაბრად ჰქონდა განვითარებული, სხეულიც და გონიერი, ჭკვიანი მოჭიდავეც იყო. გონება, სისწრაფე, მოქნილობა, — ყველაფერი ჰქონდა, ნამდვილი ჩემპიონი იყო.

დიდ სპორტსმენზე ხშირად ამბობენ, ზარმაცი იყოო. არ შეიძლება ასეთი ტიტულების პატრონი იყოს ზარმაცი. ადამიანი თვითონ გრძნობს, რა დროს შეუძლია ისე ვარჯიში, როგორც იგი ემზადებოდა. დათოს შეძახილი ნამდვილად არ სჭირდებოდა.

არასდროს მინახავს, რომ სიგარეტს ეწეოდა, ეს ერთხელ გაბრაზებულმა თვითონ მითხრა. მე პროფესიონალი მწვრთნელი ვარ, არ მიყვარდა სპორტსმენების

პირად საქმეში ჩარევა... რა შემიძლია კიდევ გითხრათ დათოზე? ცუდი არაფერი, ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა“...

ტოკიოში 1990 წელს იაპონელებმა ისე ჩაატარეს მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ჩვევიათ — უზარმაზარ დარბაზში, უმაღლეს დონეზე... სტუმრებმაც არ დასწყვიტეს გული მონდომებულ მასპინძლებს და უძლიერესი გუნდები ჩაიყვანეს, მოკლედ, მართლაც, დიდი ჩემპიონატი გამოვიდა.

ამ დიდ ჩემპიონატში მოიპოვა 27 წლის ქართველმა ფალავანმა თავისი ბოლო დიდი გამარჯვება საჭიდაო ხალიჩაზე. ფინალურ ეტაპამდე ისევ „მშვიდად“ მივიდა, შემდეგ კი მხოლოდ თითო ქულა უწყალობა თურქსა და ბულგარელ მეტოქეებს, პირდაპირ გაანადგურა (15:0) აღმავლობის გზაზე მდგარი გერმანელი შრიოდერი, რომელიც მომდევნო, 1991 წელს, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ფინალში ბაუმგარტნერთან ძნელი ორთაბრძოლა ჰქონდა, მაგრამ მუდამ წინ იყო და, რომ იტყვიან, გამარჯვების სადავეები ხელიდან წამითაც არ გაუშვია — 2:0.

იმ წლის ბოლოს, როგორც უკვე ვთქვი, იგი კვლავ დაასახელეს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. „ძალიან კარგი ჯილდო ყოფილა“, — ახლაც სიამოვნებით იხსენებს ამ ამბავს დავით გობეჯიშვილი.

მომდევნო წლისთვისაც, თითქმის „ძველი ტრადიცია“ დაივიწყაო, დიდი მონდომებით დაიწყო ვარჯიში: მაშინ 1991 წელს მსოფლიოში მისი მომრევი მართლაც არავინ იყო, მით უმეტეს, საუკეთესო ფორმაში გახლდათ, მაგრამ სწორედ მაშინ... ჭიდაობას თავი დაანება. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი და ისტორიული მოვლენა იყო, მაგრამ მაშინ არავის ეცალა ისეთი „წვრილმანისთვის“, როგორიცაა სპორტი. ხალხის იმ ნაწილისთვის, ვისაც უმაღლესი პატრიოტიზმი მარტო ქუჩაში სირბილი ეგონა, შეუცნობელი იყო ის უდიდესი შრომა, რასაც დიდი სპორტული წარმატებები მოითხოვს.

დამოუკიდებლობა სხვებმაც გამოაცხადეს, მაგალითად ბალტიისპირელებმა ჩვენზე ერთი წლით ადრე, მაგრამ საქართველოში სპორტსმენები ძალიან მკაცრად დააყენეს ალტერნატივის წინაშე და, პირველ რიგში, მათ მიმართ გამოიჩინეს მოუთმენლობა.

„91-ში მე და ლერი მინსკში ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე საკავშირო ნაკრებთან ერთად. ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით. მაშინ მგონი, 12 აპრილი იყო, თბილისიდან მოვიდა მკაცრი ბრძანება, რომ საქართველოში დავბრუნებულიყავით. მახსოვს, შემდეგ სპორტკომიტეტში ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრა იყო (რომელსაც მეც ვესწრებოდი, — ავტ.), მან მოითხოვა, რომ არ უნდა გამოვსულიყავით საკავშირო ნაკრების სახელით. სპორტკომიტეტის თავმჯდომა-

რე ნუგზარ ენდელაძე ადგა და იკითხა: რა ქნას გობეჯიშვილმა, სად გამოვიდეს, ის ხომ დღეს მსოფლიოში უძლიერესიაო. თქვენ რუსეთის მამლუქები ხართ, თუ გინდათ იყოთ ქართველები, სისხლი უნდა გაიღოთ და მათი სახელით არ უნდა გამოხვიდეთო, — ასე გამოგვიცხადეს.

მე, რა თქმა უნდა, ჩავთვალე, რომ ყველაფერი მორჩა. მაშინ არც ვიცოდი, რომ ასე უცებ გავწევრიანდებოდით საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1993 წლიდან უკვე დამოუკიდებლად გამოვდივართ... არც სხვა რომელიმე რუსპუბლიკაში გადავსულვარ, სადაც ყველგან სიამოვნებით მიმიღებდნენ.

1991 წელს ჩაის ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა დირექტორის მოადგილედ. ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან სპორტისთვის თავი უნდა დამენებებინა, მაგრამ ასე მალე თუ მოხდებოდა, არ ველოდი და არც ვფიქრობდი ამაზე“...

მაშინ ზოგმა ლაპარაკიც დაიწყო, გობეჯიშვილმა დიდ ფულს მიაშურაო. ძველი საბჭოთა გაგებით, ჩაის ფაბრიკა მართლაც დიდ ფულს ნიშნავდა და, ალბათ, ასეც იყო. მაგრამ გობეჯიშვილს ფულისთვის არასდროს უჭიდავია. მაშინ სხვა დრო და სპორტში სხვაგვარი მიდგომა არსებობდა. რა დასამალია და ერთ-ორჯერ დიდი ფული შესთავაზეს განზრახ წაგების სანაცვლოდ: ერთხელ ბუდაპეშტში, მსოფლიო ჩემპიონატზე და მეორედ ბარსელონაში, ოლიმპიადაზე — 50 ათასი დოლარი, მთელი ქონება მაშინდელი საზომით. ადრე სპორტსმენებს ასე უხვად არ აჯილდოვებდნენ, როგორც დღესაა. 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონობისთვის სულ 1200 დოლარი მისცეს, გაზეთებში კი დაიწერა, 12 ათასს აძლევენო. სპორტიდან ხელფასი 400 მანეთი ჰქონდა. საერთოდ, სპორტსმენებს გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ, მაგრამ ის თანხები, დღეს რომ სპორტში ტრიალებს, მაშინ არ დაესიზმრებოდათ.

“ჩაის ფაბრიკაში ბეჟან ხურციძემ მიმიყვანა. უახლოესი მეგობარის, გოჩა ტყეშელაშვილის ბიძა იყო. გოჩა დაიღუპა, ძალიან ძლიერი მოჭიდავე იყო, საწყალი.

მანამდე მე ჩაი მარტო დასალევად ვიცოდი და, აქედან გამომდინარე, სამუშაო არ იყო ადვილი. ყოველ შემთხვევაში, იმ საქმეს, რაც მევალებოდა, სხვა ალბათ უკეთესად შეასრულებდა. მე უკეთესი მოადგილე ვიყავი, ვიდრე შემდეგ დირექტორი. სამუშაოზე ძალიან მეხმარებოდნენ, ამასთან მე საქართველოში ყველა მიცნობდა... მაშინ ჩაის წარმოების მთელი სისტემა დაინგრა ქვეყანაში და ინერციით მივედით 1995 წლამდე. მერე კი გავაჩერეთ ფაბრიკა. მთავარი მომენტი ის იყო, რომ ფული შეიცვალა. მთელი წლის მოგება მანეთებში გვქონდა და კუპონი რომ შემოვიდა, წლის მოგების ანგარიშზე 40 მილიონი დოლარის სანაცვლოდ 1000 დოლარიღა გვქონდა. როგორ ვიმუშავებდით?

მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა „საქჩაი“, სოფლის სამინისტროს სისტემაში ვიყავით. მარტო ჩვენ კი არა, 200-მდე ჩაის ფაბრიკა იყო, პირველადი და მეორადი წარმოების. ნედლეულის მთავარი მომწოდებული იყო გალი, ოჩამჩირე, გუდაუთა... იმ დროს კი ომი უკვე მომხდარი იყო, ომის შემდეგ ჩაი საერთოდ აღარ შემოვიდა. თუმცა ჩვენი ფაბრიკა უდიდესი იყო საქართველოში და წელიწადში 20 ათას ტონა ჩაის აფასოებდა, მაგრამ შემდეგ ამდენი მთელ საქართველოში არ მოდიოდა. ცოტა მოგვიანებით დაიწყო კერძო საკუთრების ჩამოყალიბება. დღე ეს დარგი, რასაც ჩაის კულტურა ჰქვია, ძალიან დაბალ დონეზეა საქართველოში“...

დავით გიორგაძე: „დათო რომ ჩაის ფაბრიკაში მოვიდა, ჯერ დირექტორის მოადგილე იყო კომერციის სფეროში, მე — მთავარი ინჟინერი. ჩვენი საწარმო ადრე მილიონერი იყო, ინდოეთიდანაც მოგვდიოდა ჩაი, საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენ ვაფასოებდით და რუსეთში ვგზავნიდით, ყოველდღე 5-6 ვაგონი ჩაი მაინც უნდა გაგვეგზავნა.

ალბათ, გახსოვთ, სამტრედიაში რომ ბლოკადა გამოვუცხადეთ რუსეთს. ჩვენში კოლაფსი იყო, ნულზე დავჯექით. დაიწყო არეულობა, ნგრევა, დაყაჩაღება... ფაბრიკა-ქარხნებში იჭრებოდნენ, იტაცებდნენ ყველაფერს. იმხელა ქარხნები გაიძარცვა, გული მოგიკვდებოდა. რომ არა დათოს ავტორიტეტი და პიროვნული თვისებები, ჩვენი ფაბრიკა დანგრეული და მიწასთან გასწორებული იქნებოდა. გამოგვადგა მისი გამოცდილებაც, ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს. იმის თქმა მინდა, რომ ფაბრიკაში ხელით სატარებელი კაცი არ ყოფილა. უნივერსიტეტში ეკონომიკური აქვს დამთავრებული და გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად არ იღებდა. ზოგჯერ პრეფერანსის თამაში გვიყვარდა და იქაც ჩანდა მისი ხასიათი — თვითონ ძალიან აზარტიანია, მაგრამ ზედმეტ რისკს ყოველთვის ერიდებოდა ხოლმე. ყოველთვის საქმის კურსში იყო, ზოგჯერ დირექტორი ყველაფერს მოადგილეს რომ ავალებს, მასე კი არა... მისი წყალობით ასე თუ ისე შევინარჩუნეთ ეს ფაბრიკა. ახლა სააქციო საზოგადოებაა, შიგ რამდენიმე საწარმო გაიხსნა.

საოცარი მეხსიერება აქვს. რაღაც საქმის თაობაზე ციფრებს ჩამოვუყალიბებდით, წარმოვუდგენდით და — ეს ციფრები მე სხვაგვარად მახსოვს, სხვაგვარად უნდა იყოს საქმეო. ბუღალტერიაში ისევ გადამიქექია 2-3 წლის წინანდელი დოკუმენტები და დათო მართალი აღმოჩნდებოდა ხოლმე — მონაცემები ზუსტად ემთხვეოდა მის ნათქვამს.

ის ჩემთვის დირექტორი და მეგობარი იყო. რომელი პირველი — ვერ გეტყვით, მაგრამ ორივე ნამდვილად იყო. კარგა ხნის წინ წავიდა საწარმოდან, მაგრამ ახლაც ხშირად რეკავს, ჩვენს ამბავს კითხულობს, თუ როგორ ვართ“...

ისე, ძველ ამბებზე მოჭიდავეებს რაიმეს რომ ვეკითხებოდი, „თვითონ დათოს ჰკითხე, ყველაფერს ზუსტად გეტყვისო“, — სიცილით მპასუხობდნენ.

ჭიდაობაში დაბრუნება

1994 წელს დავით გობეჯიშვილი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ეს საკმაოდ მოულოდნელად და როგორც თვითონ ამბობს, სპონტანურად მოხდა: ძველი პრეზიდენტი, 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში, გურამ გედეხაური პოსტიდან გადადგა და ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე გობეჯიშვილს კონკურენტი არ ჰყოლია. 1996 წელსაც, როცა ოლიმპიური ციკლის შემდეგ ფედერაციის უკვე წესდებით გათვალისწინებულ ყრილობაზე, საკმაოდ დიდი უპირატესობით გაუსწრო ასევე ყოფილ მოჭიდავეს და პარლამენტარ ქორიძეს.

მართალია, მანამდეც მოჭიდავეები არაერთხელ მისულან მასთან ჩაის ფაბრიკაში დახმარების სათხოვნელად, მაგრამ 1994 წლიდან მას თვითონ უნდა ეკისრა ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც საქართველოს მოჭიდავეთა სახელოვანი და დიდი რაზმის ხელმძღვანელობა ჰქვია.

„ძალიან რთული პირობები იყო: თვითონ ჭიდაობაც აღარ იყო საქართველოში და მოჭიდავეებიც ნაკლებად იყვნენ. სწორედ იმ დროს მოხდა თაობათა ცვლა. დაფინანსებაც ნაკლებად გვქონდა, მაგრამ ჭიდაობას მაინც სერიოზულად ეხმარებოდნენ და ჩვენც ძალიან ვცდილობდით, ყოველ შემთხვევაში, არც ერთი შეკრება და შეჯიბრება უსახსრობის გამო არ ჩაგვიგდია.

მაგრამ არ იყო კონკურენცია, გუნდი არ იყო მთლიანი; 1995 წელს, როცა ჩემი პრეზიდენტობის დროს პირველად გავაგზავნეთ გუნდები ევროპის ჩემპიონატზე, თითოეულში — თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულში 3-3 კაცი გვყავდა, გურამ გედეხაურიც კი ნავიყვანეთ, რომელსაც ვარჯიშისთვის თავი კარგა ხანია დანებებული ჰქონდა. მაგრამ 1997-98-99 წლებში უკვე მთლიანი შემადგენლობები გამოვიყვანეთ ევროპის ჩემპიონატში.

1996 წლის შემდეგ ქვეყანა სტაბილიზაციისკენ მიდიოდა, მაგრამ დღევანდელთან შედარება არ შეიძლება. დღეს გაცილებით უკეთესი პირობებია. ძირითადი ყურადღება ნაკრებ გუნდებს ექცეოდა, — რაც აუცილებელი იყო, რაც ჭირდებოდათ, ის არასდროს აკლდათ, მაგრამ ფუფუნების საშუალება არ იყო... დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენს მოჭიდავეებს რამდენიმე მედალი უკვე მოპოვებული ჰქონდათ,

ჩემი ოჯახი — ჩემი
ყველაზე დიდი სიხარული



დავით გობეჯიშვილი: „თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ჭიდაობას ავირჩევდი. მან მომცა ყველაფერი: ხალხთან ურთიერთობა, ხალხის პატივისცემა, სახელი, ავტორიტეტი, ოჯახი, მეგობრები...“

მაგრამ 1997 წელს ევროპის ჩემპიონატში უკვე ორი ოქროს მედალი აიღეს — კურტანიძემ და პოლოსიანმა თავისუფალ ჭიდაობაში. იმ პერიოდში უკვე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები ხდებოდნენ ჩვენი ჭაბუკები და ახალგაზრდები. სწორედ აქედან იყო ის თაობა, რომლებიც 2003 წელს დიდებში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონები გახდნენ როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში"...

დავით გობეჯიშვილს მაინც წყდება გული იმის გამო, რომ მისი პრეზიდენტობის დროს საქართველოდან ვერავინ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რისი შესაძლებლობა, მეც, ამ სტრიქონების ავტორსაც, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ატლანტასა და სიდნეიში, თუმცა უფრო სიდნეიში. ატლანტის ოლიმპიადაზე ლუკა (ელდარ) კურტანიძემ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეს, კობა გულიაშვილს, — ეს ახლაც ცხადად მახსოვს, ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ისეთი სამქულიანი ილეთი არ ჩაუთვალეს, გულდასაწყვეტზე მეტი იყო. ფინალის, ანუ მინიმუმ ვერცხლის მედლის ნაცვლად მას მე-4 ადგილი ერგო.

თუმცა, გობეჯიშვილის თქმისა არ იყოს, მოპარული ძროხა მეტს იწველებაო. ზაზა თურმანიძესაც კარგი შანსი ჰქონდა, ათასში ერთხელ რომ ეძლევა კაცს, მაგრამ წააგო...

სიდნეიში კი რაც მოხდა, ბევრმა იცის: კურტანიძეს იქ ლეკი მეტოქე მურთაზალიევი უდიერად მოეპყრო ხალიჩაზე, მაგრამ, რა დასამალია, ჩვენი სახელოვანი ფალავნის მარცხი სულ ბოლო წამებზე დაშვებული შეცდომის ბრალიცაა. ხოლო აკაკი ჩაჩუას ამბავი მსაჯების უსინდისობის ქრესტომათიული შემთხვევა გახლდათ შეჯიბრების ნახევარფინალში, როსტოველ ვართარეზ სამურგაშევთან შეხვედრაში, რომლის ძმა ცნობილი მილიონერი და ნავთობის მაგნატია. „მე რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა გაიმარჯვონ", — ლაკონურად მოუჭრა მიხეილ მამიაშვილმა ჩვენს ჟურნალისტებს, როცა მას, ალბათ, წარმომავლობის გამო პრეტენზიებით მიადგნენ. „სპორტში ასეთი შავი ფინანსები არ უნდა ტრიალებდეს, — ახლაც გულდაწყვეტილია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი, — ეს დაცინვაა მაყურებლების და სპორტსმენების. ჩემი თაობის დროს და ადრეც ჭიდაობაში ასეთი რამ არ ხდებოდა. შეიძლება დაეჩაგრე ვიღაცას, მაგრამ ფულის გულისთვის?!"..

სიდნეიში გული ცოტა მუხრან ვახტანგაძემ გამოუკეთათ, როცა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მოგვიანებით, 2001 წელს, იგი დამოუკიდებლობის პერიოდში პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა მოჭიდავეთა

შორის). ავსტრალიიდან მოჭიდავეები ტრადიციულად სხვებზე დამძიმებულები ჩამოვიდნენ — იქ მოპოვებული 6 ბრინჯაოს მედლიდან სამი მათ ანგარიშზე იყო.

ჩვენს მოჭიდავეებს ხშირად ერთიან და ძმურ ოჯახს უწოდებდნენ, მაგრამ ამ ოჯახში საქმიანობა, რა დასამალია, იოლი არ არის. ზოგჯერ იმდენი ფარული და აშკარა ვნებები ბობოქრობს ხოლმე... არც ისე იშვიათად საუბრობენ თვითონ ფედერაციაში და მის გარშემო არსებულ ინტრიგებზე, მაგრამ ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ირწმუნება, რომ...

„მაშინ არ იყო ინტრიგები, შეიძლება იყო რაღაც, მაგრამ არა იმდენად, რომ საქმეში ხელი შეეშალა. ჩვენ ერთი გუნდი ვიყავით, არ აქვს მნიშვნელობა, გობეჯიშვილი იქნებოდა პრეზიდენტი თუ სხვა ცნობილი მოჭიდავე — ყველას თავისი სიტყვა ეთქმის. მე ფედერაციაში არ გამჭირვებია მუშაობა, ჩემთვის ახალი არაფერი არ იყო, რაც იყო ძველი სისტემა, იგივე დარჩა. ძნელია სისტემის შეცვლა — ახალ ველოსიპედს ვერ გამოიგონებ. ადრე დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი ხუთ-ხუთი საათის განმავლობაში, მერე რაღა უნდა გამჭირვებოდა? დღესაც ჭიდაობის ფედერაციაში იგივე კოლექტივია, დაწყებული გუნდების უფროსი მწვრთნელებით, ფედერაციის ხელმძღვანელი მუშაკებით დამთავრებული — სპორტში, კერძოდ, ჭიდაობაში არიან ჭიპმოჭრილები.

2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ ფედერაციაში ახალი არჩევნები იყო. მაგრამ არ შეიძლება ერთსა და იმავე ადგილზე ერთი და იგივე პიროვნების დიდხანს ყოფნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მომაბეზრებელია, თვითონ სპორტსმენებისთვისაც. საჭირო იყო ახალი ხელმძღვანელის მოსვლა.

ისე იყო გადაწყვეტილი, რომ ახალი პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი უნდა ყოფილიყო. გოჩა ერთი წლით ადრე ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად ავირჩიეთ. ეკონომიკურად ძალიან გვეხმარებოდა... მაშინ იმედი მქონდა, რომ ის ბიჭები, რომლებიც უკვე ევროპის ჩემპიონები და მსოფლიო პრიზიორები იყვნენ, ასევე ახალგაზრდები, დღეს თუ ხვალ თავის სიტყვას იტყოდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიადებში“.

ისიც სათქმელია, რომ ახალმა პრეზიდენტმა კარგად უპატრონა მანამდე მოტანილსა და მერე გაძლიერებულს: 2003 წლის ტრიუმფზე და ვახტანგაძის გამარჯვებაზე უკვე ვთქვით, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდა ლუკა კურტანიძე, ერთხელ — მანუჩარ კვირკველია; რამაზ ნოზაძემ პირველად აიღო ვერცხლი ოლიმპიურ თამაშებში...

წელიწადნახევრის შემდეგ, 2002 წლის სექტემბერში თავის მოადგილედ მიიწვია საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, მეორე მოადგილე ლერი ხაბელოვი იყო. დავით გობეჯიშვილი ახლაც სია-

მოვნებით იხსენებს იმ პერიოდს: „ძალიან საინტერესო იყო მუშაობა, თუ ადამიანს მართლაც გსურდა გემუშავა... იმ დროს უკვე ჩამოყალიბდა სამინისტრო, მაგრამ, ჩემი აზრით, სპორტს მარტო დეპარტამენტი არ ყოფნის. იგი დღეს ყოვლისმომცველია მსოფლიოში. მარტო დიდი სპორტი ხომ არ არის, სპორტი საერთოდ ერის სიმდიდრე, ერის ჯანმრთელობაა. თუნდაც ჯარი ავიღოთ — ჯარისკაცი ფიზიკურად ძალიან კარგად უნდა იყოს მომზადებული“...

როგორც გობეჯიშვილი ამბობს, ჩვენ სპორტს სწორედ მაშინ დაედგა გვირგვინი: პირველად დამოუკიდებლობის ისტორიაში, ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ ათენის ოლიმპიადაზე.

ორი წლის შემდეგ, როცა სპორტის დეპარტამენტში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, დავით გობეჯიშვილს პირდაპირ უთხრეს: ჩვენ ჩვენი გუნდით მოვედით და დაწერე წასვლის განცხადებაო. ეს ახალ თავჯდომარეს, დავით ნამგალაურს არ უთქვამს, ერთ-ერთმა მისმა მოადგილემ განუცხადა, რომელიც ახლა ასევე „ყოფილია“. რა თქმა უნდა, გული დაწყდა, თუმცა, მისი თქმით, მაინც სიამაყის გრძნობით წავიდა დეპარტამენტიდან: იქ მისი მუშაობის დროს, მოჭიდავეთა მიღწევების გარდა, ძიუდოისტებმა ორჯერ მოიპოვეს ევროპის თასი, საქართველოს სპორტის ისტორიაში მორაგბეებმა პირველად იასპარეზეს მსოფლიო თასის გათამაშებაში და ა.შ.

ლერი ხაბელოვი: „სპორტის დეპარტამენტში ერთმანეთთან თანამშრომლობაში სირთულეები არ გვქონია, თუმცა წინასწარ ვიცოდით, რა გაჭირვება და სიძნელეები იყო მაშინ; სპორტის ბევრი სახეობა გაქრა ან ტრადიციები დაკარგა. ჩვენ ერთად დავძლიეთ ეს სიძნელეები და ახლა მიხარია, რომ ჩვენი სახეობა გადარჩა და აღმავლობას განიცდის.

დათო არის უღალატო და სპეტაკი ადამიანი, ეს გარეგნულად ჩანს ცოტა სხვანაირი, თორემ შინაგანად ძალიან თბილი და პატიოსანი კაცია“...

მაგრამ, რა დასამალია, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც დავით გობეჯიშვილის ცოტა არ იყოს კუშტი გამომეტყველება და ყალბი გულითადობისგან თავისუფალი ხასიათი ბოლომდე გაუგებარი დარჩა, მით უმეტეს, რომ ყველასთვის მოსაწონი უფროსი ვერ იქნები, მაგრამ არაერთისგან გამიგონია, რომ ვინც „თავის ტერიტორიაზე შეუშვა“, ისინი სიამოვნებით მეგობრობენ მასთან. „დახმარების სათხოვნელად მისული კაცი უარით არასდროს გამოუსტუმრებია“, — მითხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

მაგრამ ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ერთხელ ისეთ ურთიერთობაში გაეხვია, დღესაც ნანობს. ალბათ, გახსოვთ პერიოდი, როცა პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკაში ჩაბმული ხალხი კენჭისყრაში მონაწილეობას სთავა-



დავით გობეჯიშვილი: „ოჯახში არ უნდოდათ, რომ ჭიდაობაზე მევლო, არც ის, რომ ჩემს უმცროს ძმას, პაატასაც ეჭიდავა და იმანაც მალე დაანება ვარჯიშს თავი, თუმცა კარგი მონაცემები ჰქონდა. მამაჩემი ნიკოლოზი განათლებით ეკონომისტი იყო. სიმაღლე და ფიზიკური ძალა არ აკლდა, თუმცა არასოდეს უჭიდავია. ზედმეტს არც არავის აკადრებდა და ვერც მას აკადრებდნენ. ოჯახშიც არ მახსოვს ხმამაღალი სიტყვა ეთქვას.“

ზობდნენ ხალხში პოპულარულ თითქმის ყველა ადამიანს, ცხადია, მერკანტილური მიზნებით. დავით გობეჯიშვილიც დაითანხმეს. ამაზე კომენტარიც აღარ ღირს, მაგრამ თვითონ პარლამენტის წევრობის ყოფილი კანდიდატის კომენტარიც, რომელსაც სიცოცხლეში ერთხელ ჰქონდა ეს „გრანდიოზული ბედნიერება", საკმარისად ჰფენს ნათელს იმ სიტუაციას:

„პარლამენტში 1999 წელს ვიყარე კენჭი მაჟორიტარ კანდიდატად. „აღორძინების" ბლოკიდან ვიყარე, მაგრამ უპარტიო ვიყავი. ახლა ვნანობ, რა თქმა უნდა, ჯერ იმიტომ, რომ დავმარცხდი, მეორეც — ჩემი საქმე არ არის პოლიტიკა. მეგობრებმა მთხოვეს და უარი ვეღარ ვუთხარი. ძალიან ბევრი სიბინძურე დავინახე, ისეთი სიბინძურე, რომ კაცის დეპუტატობა არ ღირს იმად, რაც მე იქ ვნახე. რაიონში ადგილობრივმა გამგებელმა მოიგო, მოქალაქეთა კავშირიდან. ჩვენ მეგობრები ვიყავით.

როცა კაცი პოლიტიკაში მიდის, იმან, ალბათ, უნდა იცოდეს თამაშის წესები, უნდა ეგუებოდეს შეურაცხყოფას, ლანძღვასაც და ზედმეტ მოფერებასაც. მე არ ვიყავი ამისთვის მზად. სახელმწიფო მანქანა იყო ჩარეული არჩევნებში.

ის უსიამოვნო ნაბიჯი იყო ჩემთვის. კენჭისყრაზე და პარლამენტარობაზე მეტი აღარ მიფიქრია. იმის შემდეგაც იყო შემოთავაზებები, მაგრამ სასტიკი უარი ვუთხარი".

დეპარტამენტის შემდეგ ოლიმპიურ ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა სპორტის გარეშე ცხოვრება, თუმცა, იმედი ჰქონდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ისევ სპორტში დაბრუნდებოდა. ნოსტალგიას კი შეჯიბრებებზე დასწრებით იქარვებდა, უცხოეთშიც ყოფილა სპორტულ ღონისძიებებზე.

2007 წელს ისევ დაბრუნდა სპორტში, სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავმჯდომარედ მიიწვია მისმა პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა. ეს საკმაოდ მოულოდნელად, ყოფილი თუ მოქმედი დინამოელების შეკრებაზე გამოაცხადეს, თუმცა თვითონ დავით გობეჯიშვილმა ამის შესახებ ცოტა უფრო ადრეც იცოდა. იგი ისევ სპორტშია და, ბუნებრივია, მოსწონს „დინამოში" მუშაობა. მისი მოადგილე კი გურამ საღარაძეა. ივლისში გამართულ შავი ზღვის აუზის ქვეყნების „მცირე ოლიმპიადაზე" საქართველოს დალეგაციას დავით გობეჯიშვილი ხელმძღვანელობდა.

„მწვრთნელობაზე არასდროს მიფიქრია, რომ ვთქვა, კარგი მწვრთნელი ვიქნებოდი-მეთქი, ტრაბახი გამომივა. მწვრთნელს სპორტსმენზე არანაკლები შრომა სჭირდება", — მითხრა ბოლოს „დინამოს" ხელმძღვანელმა, როცა ასეთ პერსპექტივაზეც ჩამოვუგდე სიტყვა.

დავით გობეჯიშვილს ორი ქალიშვილი ჰყავს: სოფიკო და მარიამი. მესამესაც ნატრობდა, ბიჭს, მაგრამ ბედმა ორი გოგონას მამობა არგუნა. არც თვითონ ჰქონია

სურვილი და, მით უმეტეს, არც მათთვის დაუძალებია სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიში. ამ მხრივ მის ძველ მეტოქეს, ბრიუს ბაუმგარტნერს უფრო ფართო არჩევნი აქვს, რადგან შვილები სამ „წონით კატეგორიაში“ ჰყავს, სულ ბიჭები: ბრაიანი, ზაქარი და დილანი (ჭიდაობის ცოცხალი ლეგენდა ახლა ინდიანის შტატის ედინბოროს უნივერსიტეტში სპორტის დირექტორია)... ი-ეს-ემ-ის სტუდენტი სოფიკო, სიყრმის შვილი, ბავშვობიდან ჭიდაობის ფანი ყოფილა, ბევრი შეჯიბრება უნახავს და ბევრი რამ იცის ჭიდაობაზე. ფრანგული სკოლის მოსწავლე მარიამსაც ჰყვარებია სპორტი... კანფეტებთან ერთად.

დავით გობეჯიშვილს, სამწუხაროდ, მშობლები აღარ ჰყავს ცოცხალი: მამამისი ნიკოლოზი კარგა ხნის წინ გარდაიცვალა, მოგვიანებით კი დედაც დაკარგა.

ადამიანის დაოჯახება, ვიცით, სადაც წყდება და ჩვენც ზევით უნდა ავიხედოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მის უდიდებულესობა სპორტსაც მიუძღვის მნიშვნელოვანი როლი: 20 წლის დათომ მაშინ გაიცნო მომავალი მეუღლე, როცა ბორჯომში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა. სკოლის მოსწავლე ირმა კი იქ მშობლებთან ერთად ისვენებდა. მართლაც, ბედი იყო: ორი წლის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, შემთხვევით, სამედიცინო ინსტიტუტის წინ გაჩერებაზე. მაშინ ორივე ოქროს მედალოსანი იყო: ერთს მსოფლიო ჩემპიონობა ჰქონდა მოპოვებული, ექიმების ოჯახში გაზრდილ ირმას კი სკოლა ფრიადზე დაემთავრებინა და ისეთივე შედეგით ჩაებარებინა პედიატრიის ფაკულტეტზე...

გარეთ რაც გინდა ეცადოს, კაცის ხასიათი ყველაზე კარგად, ალბათ, მაინც ოჯახში ჩანს...

ქალბატონი ირმა უბირია: „ოჯახში თავიდან მითხრეს: დიახ, დათო საქართველოს სიამაყეა, მაგრამ სულ წასული იქნება ოჯახიდან, რთული ცხოვრება გექნება და ჩვენი შვილი ამისთვის არ გვემეტებაო...

ძნელია სპორტსმენის მოვლა. მთელი ახალგაზრდობა მონატრებული გყავს ქმარი, მერე სპორტი მთავრდება და ისევ ხელშესაწყობია. გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც თვითონ ჭედავენ თავიანთ ბედს, უფრო სხვანაირები არიან. ჩემმა მშობლებმა, ალბათ, კარგად იცოდნენ, რომ მუდმივი სტრესის ქვეშ მომიხდებოდა ყოფნა.

წარუმატებლობას ძალიან მძიმედ განიცდიდა. გარეგნულად ემოციური არ არის, ვერც დიდ სიხარულს შეამჩნევდი და ვერც დიდ მწუხარებას, მაგრამ მეორე და მესამე ადგილები მისთვის კატასტროფა, ტრაგედია იყო. აღარავისთან ურთიერთობდა, ჩაკეტილი იყო თავის თავში.

როცა საშუალება მქონდა, ყოველთვის ვესწრებოდი მის შეჯიბრებას. ყველაზე ძნელი სეულის ოლიმპიადის დროს იყო. არაფერი ინფორმაცია არ მოდიოდა.

მარტო მე კი არა, მთელი საქართველო ელოდა... მერე თვითონ დარეკა სახლში — ჩემპიონი გავხდიო.

არიან ადამიანები, რომლებიც იოლად იხსნებიან, ზოგი კი თავის შიგნით ხარშავს ყველაფერს. დათო არასდროს გამოხატავს, თუ რაიმე პრობლემა აქვს, არ იტყვის, რაც ჯანმრთელობისა და ნერვული სისტემისთვის ძალიან ცუდია. აფექტური არ არის, ძალიან კრიტიკულ მომენტშიც არ კარგავს სიმშვიდეს. ყოველთვის იცის, რომ თავისი თავის პატრონი თვითონ უნდა იყოს, სხვა არავინ. ვაიმე, რა გვეშველება?! — ასეთ მდგომარეობაში არასდროს გვინახავს.

სპორტის შემდეგ, რაც მანამდე დააკლდა, იმის ანაზღაურება დაიწყო. მეც თანახმა ვიყავი, ცოტა დატკბეს ცხოვრებით-მეთქი.

...ძალიან მიმტევებელია, პირდაპირ საოცრად — ყველა ადამიანის მიმართ, როგორც ამას ჩვენი რელიგია გვასწავლის. ეს თვისება ღრმად აქვს გამჯდარი. იმ ადამიანების მიმართაც, ვინც ბევრჯერ გული ატკინა, იტყვის ხოლმე — აბა, რა ექნათ, მეტი გზა არ ჰქონდათო. სახეზე წყენასაც ვერ შეატყობთ, სხვებზე მხოლოდ კარგს იტყვის ხოლმე.

გარეგნულად შეიძლება ვერც დაიჯეროთ, მაგრამ სენტიმენტალური ადამიანია. ინტელიგენტების ოჯახში გაიზარდა და ძალიან ნიჭიერია, ოღონდ ამან გამოხატულება სპორტში ჰპოვა, — რა გარემოც ჰქონდა, იქ იპოვა თავისი თავი. სოფლიდან სოფელში რომ დადიოდა მშიერი და ზოგჯერ დახეული ფეხსაცმელებით, უნდოდა სწორედ ეს ნიჭი გამოვლენილიყო. საერთოდ, სპორტსმენებს დაბალინტელექტუალურ ადამიანებად თვლიან. დათოს ფენომენალური მეხსიერება აქვს. ერთხელ წაკითხულის გამეორება არ სჭირდება. პოეზიის ტრფიალია, ძალიან უყვარს ლათო ასათიანის და მურმან ლებანიძის ლექსები. ბატონ მურმანთან დიდი მეგობრობაც აკავშირებდა“...

ნაადრევი ეპილოგი

დავით გობეჯიშვილი სპორტიდან 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ წავიდა. მანამდე ორი მართლაც ოქროს წელიწადი გაიფლანგა — 1990 წლის შემდეგ თითქმის წელიწადნახევარი შეჯიბრებაზე არ გამოსულა, საქართველოში აღარ იყო ამის არც საშუალება და არც შესაძლებლობა. როცა ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან ჩამოვიდა და საქართველოს სპორტსმენების ბარსელონის ოლიმპიადაში მონაწილეობა გადაწყდა დსთ-ს გუნდის შემადგენლობაში, სეულის თამაშების ჩემპიონს,

ფაქტობრივად, ნულიდან მოუწია ყველაფრის დაწყება. არც სურვილი ჰქონდა, მაგრამ ბევრმა და განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა გამოიჩინა სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელმა კახი ასათიანმა, ასევე დათოს უფროსმა და მეგობარმა, შემდეგ პარლამენტის წევრმა ბეჟან ხურციძემ და ვარჯიშის დაწყებაზე დაიყოლიეს. დსთ-ს ჩემპიონატამდე სულ ერთ შეკრებაზე იყო ბორჯომში, სამი კვირით. ცოტა უფრო ადრე თბილისშიც ხანდახან მიდიოდა დარბაზში.

ამიტომ მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონატში გამარჯვება მისთვის ძალიან ძნელი საქმე აღმოჩნდა. დავით გობეჯიშვილმა, შეიძლება ასეც ითქვას, შეჯიბრების მიმდინარეობის დროს გაიხსენა თუ აღიდგინა თავისი ძველი ჭიდაობა. ჯერ უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ვიღაც უცნობ მოჭიდავეს მხოლოდ დამატებით დროში აჯობა (ძირითადი 1:1 დაამთავრა); მეორე შეხვედრაც ძალიან რთული გამოდგა, ოღონდ უფრო მეტი უპირატესობით მოიგო; შემდეგ კი აშკარად მოუმატა და დამაჯერებლად სძლია მაშინდელ ფავორიტს გენადი ჟილცოვს, მერე მეოთხეც მიაყოლა... ფინალში შეხვდა საქართველოდან წასულ მოჭიდავეს, თბილისელ მერაბ ვალიევს. „ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭი იყო. ყოველთვის ვუგებდი, მაგრამ მოსკოვში ის უკვე ჩამოყალიბებული მოჭიდავე იყო. ძირითად დროში გაფრთხილებებით მე მქონდა უპირატესობა, ბოლოს კი წმინდად დავამარცხე“, — ასე იხსენებს დათო იმ შეხვედრას, სადაც მისი ბარსელონის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი გადაწყდა. უფრო ადრე დსთ-ს მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატშიც დაუშვეს, მაგრამ გობეჯიშვილი იქ არ გამოსულა.

დსთ-ს ჩემპიონატი ივნისში ჩატარდა, ბარსელონის ოლიმპიადა — აგვისტოში. და მაინც, კისლოვოდსკის ბოლო საწვრთნელი შეკრების შემდეგ უკვე კარგად გრძნობდა თავს. მაგრამ ისევ ძველი სენი შეეყარა — ისევ გაცივდა და ესპანეთში სიცხიანი ჩავიდა. 32 წლის ბაუმგარტნერი კი ჩუმად და საგულდაგულოდ ემზადებოდა თავისი მესამე ოლიმპიადისთვის — ბარსელონამდე ნახევარი წლით ადრე მის შესახებ არაფერი შეუტყვიათ.

„მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ მაშინ უკვე დამოუკიდებლები ვიყავით, ჩვენი ქვეყნის ჰიმნს უკრავდნენ და დროშა აღიმართებოდა, მაგრამ იქ ასე იწერებოდა: გაერთიანებული გუნდი.

ბაუმგარტნერს მესამე წრეში შევხვდი. ბარსელონაშიც ძალიან დიდი კონკურენცია იყო: ორი ოლიმპიური ჩემპიონი გამოვდიოდით, ორიც მსოფლიო — სულეიმანი და შრიოდერი და ბევრი სხვა პრიზიორი. ესპანეთში იმდენად დარწმუნებული აღარ ვიყავი საკუთარ თავში, თან გუნდის მწვრთნელებმა მითხრეს, ბაუმგარტნერთან ფრეც გყოფნის შემდეგ წრეში გადასავლელადო. მეც ფრეზე ვჭიდაობდი, მაგრამ შეხვედრის

დამთავრებამდე 7 წამით ადრე მიყვირეს — ფრე აღარ გყოფნისო. თურმე ქვეჯგუფში ასეთი შემთხვევა მომხდარა — ვიღაც სუსტს ძლიერისთვის მოუგია და კარტები აირია. მეც გავშტერდი. ამ დროს მეცა ფეხებში ბაუმგარტნერი და გადამაგდო...

ეს ჩემთვის ფინალი იყო. აღარ მინდოდა შეჯიბრების გაგრძელება. მაშინ ჩემთვის მეორე, მეხუთე და მეოცე ადგილი სულ ერთი იყო. ერთხელ, 1990 წელს, სიეტლში ამის შესახებ ვუთხარი სხვებს, არ დაიჯერეს. ლერიმ რომ მეორე ადგილი დაიკავა სეულში, ეს მისთვის ტრაგედია იყო. ახლა სხვა დროა. აგერ, ნოზაძეც მეორე იყო ათენში და როგორი გახარებული ჩანდა“...

დავით გობეჯიშვილი მაინც დაითანხმეს საჭიდაოდ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებმა და მეგობრებმა. მან ჯერ 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონის შრიოდერის დამარცხება კვლავ შეძლო, ხოლო მესამე ადგილისთვის დამაჯერებლად აჯობა ხისტსა და შეუპოვერ თურქ მოჭიდავეს, მაჰმუდ დემირს — 4:0. ამ დემირს, რომელსაც, 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირდაპირ სისხლი გაუშრო ლერი ხაბელოვმა და ხუთჯერ მოუგო, მძიმე წონაში უკვე მოესწრო ბრიუს ბაუმგარტნერის დამარცხება 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ოთხი წლის შემდეგ კი ის ჩემპიონი გახდა ატლანტაში.

„სულ ორი კვირის ვარჯიში დაგვაკლდა“, — დანანებით აღნიშნა ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ გურამ საღარაძემ. ამ აზრისაა ლერი ხაბელოვიც: „დათო ბარსელონის ოლიმპიადის დროს არ იყო კარგად ნავარჯიშები. ოლიმპიადაზე მაინც თანაბარი ბრძოლა ჰქონდა ბაუმგარტნერთან, მაგრამ მომზადების ეტაპი გავლილი რომ არ ჰქონდა, დაიღალა; ზონაში (ერთი მეტრის სიგანის წითელი ზოლი, გარს რომ აკრავს მთავარ ყვითელ წრეს, — ავტ.) მიმდინარეობდა ჭიდაობა, იქ დაეცა ბოლო წამებზე და შეხვედრა ვეღარ გადაარჩინა“...

დემირის ტრიუმფი ატლანტაში გობეჯიშვილის თვალწინ შედგა, მაგრამ მას გული აღარ დაწყვეტია, ხალიჩაზე რომ არ იყო — ჩემი მატარებელი უკვე ჩავლილი გახლდათო. როგორც ვთქვით, მხოლოდ იმაზე დაწყდა გული, რომ ჩვენები ოქროს გარეშე დარჩნენ.

დავით გობეჯიშვილი: „91-ში რომ არ დამენებებინა ჭიდაობისთვის თავი, ატლანტის ოლიმპიადამდე გავაგრძელებდი ვარჯიშს. თან ბარსელონაში წავაგე და გული გამიტყდა. ბაუმგარტნერმა კი 1995 წელს 35 წლის ასაკში კიდევ ერთხელ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. ატლანტაში რუს მოჭიდავესთან დამარცხდა და მესამე ადგილზე გავიდა. იქ ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ არაფერი უთქვამს (ამერიკელმა 17-წლიანი სახელოვანი კარიერა შემდეგ წელს დაამთავრა – 37 წლის ასაკში კიდევ ერთხელ გაიმარჯვა მსოფლიო თასის გათამაშებაში, — ავტ.).

ყველაფერი კარგად რომ ყოფილიყო, მე ხუთჯერ მაინც უნდა გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ მე იმ აზრის მომხრე ვარ, რომ, როცა ადამიანი იბადება, იმას თავისი ილბალი დაჰყვება თან. მეც ასე მეწერა, ალბათ — ერთხელ ოლიმპიური და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი — ბოლოს მაინც ამით ვიმშვიდებთ თავს. ისე, ხუთი წუთით ადრე წასვლა სჯობია ხუთი წუთით გვიან წასვლას.

თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ჭიდაობას ავირჩევდი. მან მომცა ყველაფერი: ხალხთან ურთიერთობა, ხალხის პატივისცემა, სახელი, ავტორიტეტი, ოჯახი, მეგობრები... მაგრამ პიროვნული თვისებები თუ არ გაქვს, ვერც ჭიდაობა გიშველის და ვერც სხვა რამ“...

ბოლოს კი ისევ პროლოგი ეპილოგის მაგიერ — ქალბატონ ციცო გობეჯიშვილის ჩანაწერი (17 წლის წინანდელი):

„შალვა გობეჯიშვილის ნაამბობიდან: — ერთხელ დათოს ბაბუამ, დავითმა (დათიკომ), ქეიფისას სუფრაზე ცოლით დაიტრაბახა — კარგი შვილები გამიზარდაო.

ჩვენში უცხოა ცოლის ქება და მაშინ გულიანად ვიცინეთ...

ბაბუა გაღმაურ რძალსაც აქებდა თურმე — კარგი შვილიშვილები გამიჩინაო.

„გაღმაური რძალი“ დათოს დედაა, ღაღანა.

— ბაბუას დათო ყველა შვილიშვილზე მეტად უყვარდა, — ამბობს პაატა, დათოს ძმა.

ალბათ იმიტომ, რომ მისი მოსახელე იყო და მოხუცი სიდინჯის, სიჭკვიანის თვისებებს, თავის თვისებებს ნახულობდა ბავშვში.

— მახსოვს, დათუნამ როგორ იტირა გარდაცვლილი ბაბუა, ხმამაღლა და გულიანად.

— როგორი ბავშვი იყო დათო? — ჭკვიანი და უწყინარი, მიმნდობი, ხშირად გვინახავს ატირებული. თვითონ არავის სცემდა, — ამბობენ ნინა და ლენა გობეჯიშვილები.

— არავინ დაიქადნოს დათო მე გავზარდეო! თავისით გაიზარდა... კარგი.

ეს რუბენ გობეჯიშვილის სიტყვებია.

არავინ დაიტრაბახოსო! — გვაფრთხილებს სოფელი.

მაშ, რა ქნან, დედამ, ღაღანამ და მამამ ნიკოლოზმა, არ თქვან ჩვენ გავზარდეთო?

არ ვუთხრათ მადლობა დიმიტრი ბერიშვილს, მანგურ ბურდილაძეს, შურა მაისურაძეს, მურად დოხტურიშვილს, გურამ საღარაძეს?

რას იტყოდნენ სოსია, ლუკა, პავლია, გოგია, გურამი, დათოს ჩვენი სისხლი არ აქვსო?

არ იტრაბახოთ! — გვაფრთხილებს სოფელი“.

დავით გობეჯიშვილი

დაიბადა 1963 წლის 3 იანვარს ხურუთში, ონი. თავისუფალი სტილის მოჭიდავე (130 კგ). XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1988, სეული), XXV ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1992, ბარსელონა). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1985, 90) და მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი (1986, 87, 88), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88), დსთ-ის ჩემპიონი (1992). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

DAVID GOBEJISHVILI

Freestyle wrestler (130 kg), was born on January 3, 1963 in Khuruti village of Oni district. He is a champion of XXIV Olympic Games (Seoul, 1988) and bronze medalist of XXV Olympics (Barcelona, 1992). He is twice world champion (1985, 1990) and silver medalist (1986), three-time winner of the world cup (1986, 1987, 1988), champion of Europe and champion of the Good Will Games (1990). Gobejishvili is a champion of the 9th USSR sports and athletics meeting (1986), three-time champion of the USSR (1985, 1986, 1988) and champion of CIS (1992). He was the USSR Honored Master of Sports. Gobejishvili was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.